# სარბიელი

ე

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 22 ოქტომბერი 2003 №200 (1971) ფასი 50 თეთრი





REUTERS

## ინტერ-აქტიული გამოკითხვის შედეგები



REUTERS

ტიერი ანრის და „არსენალს“ კიევშიც დაამიჯეს

მიხეილ აშვეთია 1

ლოკომოტივი 3

უკუპერო ინტერი 0

## ელბერს ფეხი აუკანკალდა

10 000 ევრო ბეკენბაუერს დარჩა

იხილეთ მეორე გვერდი

## სერი და სეირი აიბროქსზე



### არველაძე ოშის გამქცევა, ხიზანიშვილი გიგზს

დღეს გლაზგოში დიდი მატჩია — შოტლანდიური „რეინჯერსი“ ინგლისური ბობოლა „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ. ეს ამბავი უქართველებოდ არ ჩაივლის, შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი „აიბროქსზე“ სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს დაეჭიდებიან.

იხილეთ მესამე გვერდი





# ჩემპიონთა ლიგა
CHAMPIONS LEAGUE
## ჯგუფური ეტაპი. III ტური. წუხელ

### A ჯგუფი

**ანდერლეხტი 1:0 სელტიკი**

1:0 დინდანე (72)
ანდერლეხტი: ზიტკა, დეშახტი, დე ბუკი, ჟეელაკოვი, კომპანი, ბასეჯიო, კოლარი (ტიჰინენი 90), ჰასი, ვილჰელმსონი (ჰენდრიქსი 87), დინდანე, მორნარი
მწვრთნელი: უგო ბროოსი
სელტიკი: ჰედმანი, მაკნამარა (ვალგაერენი 46), ბალდე, ვარგა, სატონი, ა. ტომპსონი, აგათი, ლენონი (მილერი 79), ს. პეტროვი, ლარსონი, ჰართსონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: დე ბუკი, დე ბუკი, პეტროვი, ლარსონი, ჰენდრიქსი
გაძევება: დე ბუკი (26)
მსაჯი: ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)
28 000 მაყურებელი

**ლიონი 1:1 ბაიერნი**

0:1 მაკაი (25), 1:1 ლუინდულა (88)
ლიონი: კუპე, დეფლანდრე (მალუდა 46), ედმილსონი, მიულერი, რეველიერი, ესიენი, დორასო (კარიერი 75), დიარა, ჟუნინიო, ელბერი, გოვუ (ლუინდულა 68)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
ბაიერნი: კანი, კუფური, რობერტ კოვაჩი, ლინკე, ლიზარაზუ, დაისლერი, დემიკელისი (იერემიესი 46), ბალაკი, ზე რობერტო (სალიჰამიჯიჩი 90), მაკაი, სანტა კრუზი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: დემიკელისი, სანტა კრუზი, კოვაჩი, მალუდა, რეველიერი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
37 659 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ლიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ანდერლეხტი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სელტიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |

### B ჯგუფი

**ლოკომოტივი 3:0 ინტერი**

1:0 ლოსკოვი (2), 2:0 აშვეთია (50), 3:0 ხოხლოვი (57)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი (გურენკო 73), იგნაშევიჩი, სენიკოვი, ლეკხეტო, იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, აშვეთია, ბუზნიკინი (პაშინინი 46)
მწვრთნელი: იური სიომინი
ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, კანავარო, მატერაცი (ემრე ბელოზოღლუ 60), ბრეშე (კოკო 69), ხ. ძანეტი, ალმეიდა, კ. ძანეტი, რეკობა, ვიერი, კრუზი (მარტინსი 60)
მწვრთნელი: კორადო ვერდელი
გაფრთხილება: ბრეშე, კ. ძანეტი, რეკობა, კანავარო
მსაჯი: ფრანც-ქსავიერ ვაკი (გერმანია)
25 000 მაყურებელი

**დინამო 2:1 არსენალი**

1:0 შაცკიხი (27), 2:0 ბელკევიჩი (63), 2:1 ანრი (80)
დინამო: შოვკოვსკი, ფიოდოროვი, დმიტრულინი (საბლიჩი 33), ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, ლეკო, ბელკევიჩი, პეევი, გიოანე (ხაცკევიჩი 79), გუსევი (რინკონი 65), შაცკიხი
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
არსენალი: ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, პარლოუ (ლიუნგბერგი 74), ედუ (ვიეირა 61), ჟილბერტო სილვა (კანუ 74), პირესი, ანრი, ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
80 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| არსენალი | 3 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |

### C ჯგუფი

**აეკ 0:1 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 ლუსიუსი (36)
აეკ: მიხაილიდისი, კასაპისი (ბორბოკისი 78), კაპსისი, გეორგიასი, ამპონსაჰი, კაცურიანისი, რუსევი (ლაკისი 60), ზაგორაკისი, ცარტასი, ოკასი, ნ. ლიბეროპულოსი (ივიჩი 60)
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ჰოფლანდი (კოლინი 63), ბუმა, ი. ლი, ფოგელი, ლუსიუსი, რობენი, რომედალი, დე იონგი, კეჟმანი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: ჰოფლანდი
გაძევება: ამპონსაჰი (65)
მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია)
11 500 მაყურებელი

**დეპორტივო 1:0 მონაკო**

1:0 ტრისტანი (83)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, რომერო, დუშერი, სერხიო, ვიქტორი (სკალონი 81), ვალერონი (პანდიანი 66), ტრისტანი, ლუკე (ფრანი 57)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მონაკო: რომა, გივე, სკილაჩი, როდრიგესი, ევრა, ჟიული, სისე, ბერნარდი, როტენი, პლასილი (პრსო 87), მორიენტესი (ადებაიორი 78)
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
გაფრთხილება: ბერნარდი, გივე
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
25 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| მონაკო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| აეკ | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

### D ჯგუფი

**გალათასარაი 1:0 ოლიმპიაკოსი**

1:0 ჯიჰანი (8)
გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენთი, პრატესი (ჰ. უნსალი 69), ფ. დე ბური, ერგუნი, აიჰანი, ჯიჰანი, საბრი (სუათი 90), ბატისტა, ჰ. შუქური, არიფი (პეტრე 76)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
ოლიმპიაკოსი: ბუჩეკი, მავროგენიდისი (ტაცისი 85), ანატოლაკისი, ვენეტიდისი, პანტოსი, კარამბუ, სტოლტიდისი (კაფესი 61), ანცასი, პ. ჯორჯევიჩი, ჯოვანი, კასტილიო (გეორგიადისი 77)
მწვრთნელი: ოლეგ პროტასოვი
გაფრთხილება: სტოლტიდისი, აიჰანი, ჯოვანი, პრატესი, შუქური
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
50 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 4:2 სოსიედადი**

1:0 ტრეზეგე (3), 2:0, 3:0 დი ვაიო (7, 45), 4:0 ტრეზეგე (63), 4:1 ტუდორი (67ს.კ.), 4:2 დე პედრო (80)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, იულიანო, ტუდორი (მონტერო 75), ძამბროტა, კამორანეზი (დავიდსი 66), ტაკინარდი, აპია, ნედვედი, ტრეზეგე, დი ვაიო (ბირინდელი 84)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
სოსიედადი: ვესტერფელდი, არანსაბალი, ხაურეგი, შურერი, პოტილიონი, ჩ. ლი (დე პედრო 66), კარპინი, ალკისა, ხაბი ალონსო (არანბურუ 81), გაბილონდო, კოვაჩევიჩი (ნიჰათი 74)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: ტაკინარდი, იულიანო, ხაბი ალონსო
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
17 246 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:4 | 9 |
| სოსიედადი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| გალათასარაი | 3 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |

# გვინდოდა, მაგრამ არ ველოდით
## აშვეთიამ ლუჟკოვი გასახდელში ჩაიყვანა

*წუხელ მიხეილ აშვეთიამ დანაპირები შეასრულა და მილანის „ინტერს" გოლი გაუტანა. მოსკოვის „ლოკომოტივმა" პირველი გამარჯვება იზეიმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე და ამაში ლომის წილი ქართველმა თავდამსხმელმაც დაიდო.*

*მიხეილ აშვეთიას ნამატჩევს შევეხმიანეთ და ცხადია, გამარჯვებაც მივულოცეთ*


REUTERS
მიხეილ აშვეთიამ (მარჯვნივ) მილანელ მცველებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა

— ძალიან გახარებული ვარ. „ინტერს" მაგრად ვაჯობეთ და დამსახურებულადაც მოვიგეთ. ვფიქრობ, „ლოკომოტივისთვის" ეს საუკეთესო მატჩი იყო ამ სეზონში. მიხარია, რომ გოლი შევაგდე და კარგადაც ვითამაშე.

**— ასეთ იოლ გამარჯვებას, ალბათ, არ ელოდი...**

— იმედი კი მქონდა რომ მოვიგებდით, მაგრამ ასეთ ანგარიშს ნაღდად არ ველოდი. „ინტერთან" 3:0 მოგება წარმოუდგენელიც კი იყო ჩემთვის.

**— იტალიური კლუბების დაცვაზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს. შენ როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა?**

— იტალიელმა მცველებმა დღეს მართლა სუსტად ითამაშეს. მათი სიძლიერე ყველამ იცის, მაგრამ ეს მატჩი ულაპარაკოდ ჩააგდეს. თუმც ისიც სათქმელია, რომ ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ.

**— თავდასხმაში მარტო იყავი. არ გაგიჭირდა?**

— ასეთ თამაშში უნდა გაგიჭირდეს, აბა, სხვაგვარად როგორ იქნება? დღეს თამაშს ვინ გაცლის, მით უმეტეს, „ინტერი". უბრალოდ მთელმა გუნდმა მაღალ დონეზე ითამაშა და ამიტომ მეც საქმე გამიოლდა.

**— დიდი ხმაური ისმის. რა ხდება?**

— ყველას ძალიან უხარია. როგორც მითხრეს, ხალხი ქუჩებშია გამოსული. ხელმძღვანელობაც გახარებულია და გასახდელშიც მთელი მთავრობა ჩამოვიდა მოსალოცად — იური ლუჟკოვი, იოსიფ კობზონი... რა ვიცი, ვინ აღარ არის აქ. ერთი სიტყვით, ახლა ყველა ჩვენზე ლაპარაკობს.

**ქახა შალამბერიძე**


REUTERS
გალათასარაი — ოლიმპიაკოსი. მასპინძელი ოვიდიუ პეტრე და სტუმარი პანტელის კაფესი ჰაერშიც შეიბნენ


REUTERS
ლიონი — ბაიერნი. მიუნხენელი როი მაკაის გოლი მასპინძლებმა მატჩის მიწურულს გაქვითეს

## ინგლისი

**პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**

ფულემი 2:3 ნიუკასლი

**პირველი დივიზიონი. გადადებული მატჩები**

უოტფორდი 1:1 ქოვენთრი
ძრიუ 2:1 პრესტონი
ნორვიჩი 2:1 დერბი ქაუნთი
ვესტ ბრომვიჩი 0:1 უიმბლდონი
კრ. პალასი 3:4 იფსვიჩი
რედინგი 0:1 უოლსოლი
სანდერლენდი 0:0 როტერჰემი
უიგანი 1:1 შეფილდ იუნ.

**II დივიზიონი. XV ტური**

ბლეკპული 2:3 რაშდენი
ბორნმუთი 6:3 ლუტონი
ბრენტფორდი 4:0 ბრაიტონი
ჩესტერფილდი 1:2 ჰარტლპული
გრიმსბი 2:0 ნოტსი
პიტერბრო 2:3 ბარნსლი
პორტ ვეილი 2:0 ქუინზ პარკი
სტოკპორტი 1:3 კოლჩესტერი
ტრანმერი 1:0 სუინდონი
რედსემი 4:0 ოლდემი
უიკომბი 3:0 ბრისტოლი

**III დივიზიონი. XV ტური**

როვერსი 1:1 ლეიტონი
ბერი 0:0 ჰალი
კარლაილი 1:4 სკანთორპი
ჩელტენემი 2:1 დარლინგტონი
დონკასტერი 2:1 როჩდეილი
ლინკოლნი 3:2 მაკლსფილდი
ნორთჰემპტონი 0:1 კიდერმინსტერი
საუთენდი 0:2 ბოსტონი
სუონსი 0:2 კემბრიჯი
ტორკი 1:0 მენსფილდი
იოვილი 2:1 ჰადერსფილდი
იორკი 2:2 ოქსფორდი

## ჰოლანდია

**II დივიზიონი. X ტური**

სპარტა 0:3 ჰელმონდი

## ირლანდია

**პრემიერლიგა. XXVIII ტური**

ლონგფორდი 0:1 დერი სიტი
დუბლინი 0:1 ბოჰემიანსი
დროჰედა 0:1 შემროკი

## პოლონეთი

**თასის 1/4 ფინალი. პირველი მატჩი**

ლეხი 4:1 პოლკოვიცე

**თასის 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი**

რაკოვი 1:5 *იაგელონია* (0:3)

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. XII ტური**

დორტმუნდი (მ) 1:1 დინამო

**სამხრეთ რეგიონალლიგა. XII ტური**

კაიზერსლაუტერნი (მ) 2:2 ოფენბახი

## სლოვაკეთი

**თასის I ეტაპი**

დუბლო სალა 1:0 პრიევიძა
ლიხარტოვცე 4:2 პკ ტეპლიცე

*დღეს გლაზგოში დიდი მატჩია — შოტლანდიის სათაყვანებელი „რეინჯერსი" ინგლისური ბობოლა „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ. ეს ამბავი უქართველებოდ როდი ჩაივლის — შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი დღეს „აიბროქსზე" სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს დაეჭიდებიან. ფერგიუსონმა „რეინჯერსი" სამი დღის წინ ნახა „მოზერუელთან", მაგრამ ჩაფართა ჩაფარი ალექს მაკლიში დაიქადნა, „მანჩესტერთან" სულ სხვა გუნდი ვიქნებითო.*

*გუშინ „რეინჯერსმა" გლაზგოს დროით 15 საათზე ივარჯიშა და სასტუმროში დაბინავდა შეკრებაზე. ჩვენებურებს სწორედ იქ შევეხმიანეთ*

# ჩვენ სპექტაკლის მომხრე ვართ

## შოთა: გამარჯვება წარმოუდგენელია
## ხიზანა: კოზირი გიგზს უჭირავს

*შოთა არველაძე:*

— ამ მატჩისთვის ჩვეულებრივად ვემზადებით. მაკლიშს განსაკუთრებული რამ ფეხბურთელებისთვის ჯერ არაფერი უთქვამს.

**— როგორ ამზადებს მაკლიში გუნდს ასეთი მნიშვნელოვანი თამაშებისთვის? მთავარი ალბათ გუნდის ფსიქოლოგიური მომზადებაა.**

— ასეთ თამაშს რა განწყობის შექმნა სჭირდება?! თუ ასეთ მატჩისთვის ფეხბურთელი ვიღაცამ უნდა მოამზადოს ფსიქოლოგიურად, მაშინ არ ყოფილა საშველი და ეგაა.

**— მაინც რა უნდა დაუპირისპიროს „რეინჯერსმა" ასეთ დიდ მეტოქეს?**

— მინდორზე უნდა გავიდეთ და ვითამაშოთ. რა თქმა უნდა, ტაქტიკური მომზადება აუცილებელია და ამაზე თამაშის დღეს გვექნება ლაპარაკი.

**— პირადად შენთვის რას ნიშნავს „მანჩესტერის" წინააღმდეგ თამაში?**

— დიდი გუნდების წინააღმდეგ ადრეც მითამაშია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში არა, რასაც ახლა დიდი ინტერესით ველი.

**— თავდასხმაში შენ და მიხაელ მოლსი იქნებით?**

— არ ვიცი, ესეც თამაშის დღეს გაირკვევა.

**— რა უპირატესობა აქვს „რეინჯერსს" „მანჩესტერის" წინააღმდეგ და პირიქით?**

— ამას თამაში გვიჩვენებს.

**— „მანჩესტერის" დაცვის ხაზზე რას იტყოდი?**

— მხოლოდ ჯონ ოშის წინააღმდეგ მითამაშია ირლანდია — საქართველოს შეხვედრაში, „მანჩესტერის" დანარჩენი მცველების წინააღმდეგ კი არასდროს. ასე რომ, სიტყვას არ გავაგრძელებ — „მანჩესტერს" ძალიან გამოცდილი მცველები ჰყავს.

**— შოტლანდიის ჩემპიონი ინგლისის ჩემპიონის წინააღმდეგ — შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— „შტუტგარტ" — „მანჩესტერის" წინ ვითომ გერმანელებს მოგების შანსი არ ჰქონდათ და მოიგეს. მანამდე კი ჩვენ დავამარცხეთ „შტუტგარტი". ერთი შეხედვით, „რეინჯერსის" გამარჯვება „მანჩესტერზე" წარმოუდგენელია, მაგრამ ეს ფეხბურთია...

**— გარდა ამ ფაქტორის, რის ხარჯზე შეუძლია „რეინჯერსს" წარმატებით ეთამაშოს „მანჩესტერს"?**

— თუ რაგბიში არის 4-5 ხუთი ისეთი ძლიერი გუნდი, რომ მათ სხვა ვერავინ მიეკარება, ფეხბურთში სხვაგვარადაა. თანაც „რეინჯერსი" პატარა გუნდი ნამდვილად არაა და ასეთ მოწინააღმდეგეებთან არაერთხელ უთამაშია. მე იმის მომხრე ვარ, რომ კარგი მატჩი გამოვიდეს.

**— ტრავმა ბოლომდე მოიშუშე და მარცხენა მუხლი აღარ გაწუხებს?**

— მუხლი კვლავაც მაწუხებს, თითქოს რაღაც მწიწკნის და გამაყუჩებლის მიღება მომიწევს.

**— „აიბრაქსის" ტრიბუნაზე ქართველები არ იქნებიან?**

— როგორ არა, ჩემი და „ხიზანას" ოჯახები აქ არიან, ჩამოვა გიორგი ქინქლაძეც.

*ზურაბ ხიზანიშვილი:*

— ამხელა თამაში გველის და ვნერვიულობთ, ალბათ მანჩესტერელებიც ასე იქნებიან. მთავარია, სანახაობრივი თამაში გამოვიდეს და ფრეზეც თანახმა ვარ — ასეთი მატჩებისგან გულშემატკივრები უფრო სპექტაკლს ელოდებიან.

**— „მანჩესტერთან" შეხვედრაზე შენთან წინა ინტერვიუშიც ვილაპარაკეთ. მაშინ თქვი, ვინც რაიან გიგზის წინააღმდეგ ითამაშებს, დაცვაში ყველაზე მეტი ჯაფა იმას დაადგებაო. „რეინჯერსის" ბოლო მატჩებში სულ მარჯვენა მცველად თამაშობ და ახლაც ასე იქნება?**

— მგონი ახლაც მარჯვნივ ვიქნები და გიგზის წინააღმდეგ თამაშიც მე მომიწევს.

**— მერედა როგორ აპირებ გიგზთან გამკლავებას?**

— ეს თამაშის მიხედვით გამოჩნდება. გიგზთან ახლოს რომ დადგე, ზურგსუკან პასს გააკეთებენ და გიგზსაც მეტი შანსი ექნება. ზოგადად, კოზირი გიგზს უჭირავს ხელში, მაგრამ მთავარი ისაა, თამაში როგორ წავა.

**— გლაზგოში როგორი აჟიოტაჟია?**

— „მანჩესტერმა" დღეს „აიბროქსზე" ივარჯიშა და ამ ამბავს ტელეარხებზე წამდაუწუმ ატრიალებენ. მე კი ბოლო დღეები ქუჩაში არ გავდივარ, რადგან „რეინჯერსის" გულშემატკივრები გვაჩერებდნენ და სულ „მანჩესტერთან" მოსალოდნელ მატჩზე გვეკითხებოდნენ.

**დავით თავართქილაძე**



# მიყიდა ლომაია, დახვდა კოვალევსკი
## სკალა სპარტაკის ყურებით ვერ ძლება



*შესაძლოა რუსეთის ჩემპიონატი ისე ჩამთავრდეს, საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაიას „სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში თამაში არ მოუწიოს. თვეზე მეტია, გიორგი მოსკოველებს შეუერთდა და სათადარიგოთა სკამიდან ჯერაც არ ამდგარა. „სპარტაკის" დროებითი მწვრთნელი ვლადიმირ ფედოტოვი ჩვენიანს პოლონელ ვოიცეხ კოვალევსკის ამჯობინებს, რომელიც ჩემპიონატის ბოლო ტურის „სპარტაკ" – ცსკას მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.*

*საერთოდ კი, „სპარტაკს" რუსულ პრემიერლიგაში სულ ხუთი მატჩი აქვს გოლგაუშვებლად ჩატარებული, აქედან სამჯერ მოსკოველთა კარს სწორედ კოვალევსკი იცავდა და მწვრთნელის მისადმი სიმპათიაც გასაკვირი არ უნდა იყოს. ასე ფიქრობს გიორგი ლომაიაც, რომელსაც მოსკოვში გუშინ დავუკავშირდით*

— „სპარტაკში" მისვლისას კონკურენტი კოვალევსკი ჩინებულ ფორმაში დამხვდა. ბოლო დროს მან კიდევ უფრო მოუმატა და ყოველ მატჩში ერთ-ერთი გამორჩეულია. ბუნებრივია, რომ მწვრთნელი მას უფრო ენდობა. თანაც, როცა „სპარტაკთან" კონტრაქტს ხელი მოვაწერე, გუნდი გასავარდნთა ზონასთან ახლოს იყო და ასეთ დროს მეკარის შეცვლას მწვრთნელი ვერ გარისკავდა. მერე და მერე კოვალევსკიც უკეთ ათამაშდა.

**— და დარჩი სათადარიგოთა სკამზე...**

— სხვა რა გზაა, ველი შანსს, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენო. ჯერჯერობით კი მთელი მონდომებით ვვარჯიშობ და დუბლებში ვთამაშობ.

**— ერთი შანსი რუსებთან მატჩისას უკვე გამოიყენე. მაინც ვერ დაარწმუნე მოსკოველები შენს შესაძლებლობებში?**

— ვერაფერს გეტყვით. ეს მწვრთნელს ჰკითხეთ.

**— მწვრთნელთან შენ არ გისაუბრია?**

— კი, მაგრამ არ მიკითხავს, როდის მათამაშებ-მეთქი. კოვალევსკი სადღეისოდ გუნდში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება და ასეთ დროს უხერხულია, მწვრთნელისგან ძირითადი შემადგენლობა მოითხოვო.

**— აბა, ასე თუ გაგრძელდა, სათამაშო ფორმას დაკარგავ...**

— იმედი მაქვს, სათადარიგოთა სკამს არ შევრჩები. ჯერჯერობით, ვფიქრობ, ნორმალურ ფორმაში ვარ. ორი ტურიც და ჩემპიონატი [illegible]თავრდება. მოსამზადებელ პე[illegible]დში კი მე და კოვალევსკი ერთნაირ პირობებში ვიქნებით და ვნახოთ, ალბათ, ვაჯობებ.

**— უეფას თასზე თამაშსაც ჩემპიონატის პარალელურად დაამთავრებთ?**

— ძლიერი მეტოქე კი შეგვ[illegible] ბუქარესტის „დინამო". „სპარტ[illegible] თავისას ეცდება, რაც მე[illegible] შევრჩებით საერთაშორისო სარბიელს, მით უკეთესი ჩვენთვის. ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად ესეც გამოგვადგება.

**— რუსეთ — საქართველოს მატჩი მოსკოვში უკვე დაივიწყეს?**

— პლეი ოფის კენჭისყრის მერე ყველა უელსზე ალაპარაკდა. ათასში ერთხელ თუ იხსენებენ ჩვენთან შეხვედრას.

**— და რას ამბობენ?**

— განსაკუთრებულს არაფერს.

**— „სპარტაკის" ახალ მწვრთნელს როდის დანიშნავენ?**

— სეზონის დამთავრების მერე.

**— სკალაზე კიდევ ლაპარაკობენ?**

— ლაპარაკობენ კი არა, ვფიქრობ, მისი დანიშვნა უკვე გადაწყვეტილიცაა. სკალა ჩვენს მატჩებს ესწრება. თუმცა ხელმძღვანელობა ამბობს, იტალიელთან კონტრაქტი გაფორმებული არ არისო. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ტყუილად ხომ არ დაესწრება სკალა „სპარტაკის" შეხვედრებს? ესე იგი, ხელმძღვანელობა მასთან უკვე მოლაპარაკებულია.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 12 ტური

*ამ შაბათ-კვირას მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის მეორე წრე დაიწყო. გარკვეული კონტურები უკვე გამოიკვეთა, თუმც გასარკვევი ჯერაც იმდენია, 7 დეკემბრამდე (პირველი ეტაპი მთავრდება) ნაღდად არ მოვიწყენთ.*

*დღეს კი მეცამეტე ტურის ორი მატჩია: „ვიტ ჯორჯია" – „დილა" და „კოლხეთი" – „ბათუმი", თუმც მანამდე შაბათ-კვირის ჩავლილი მატჩები მიმოვიხილოთ*

დილა 0:0 კოლხეთი
ბათუმი 4:0 ტორპედო
თბილისი 3:1 მერცხალი
სიონი 3:1 ლოკომოტივი
მცხეთა 1:4 ვიტ ჯორჯია
სპარტაკი 0:3 დინამო



გიორგი შენგელიას „სიონმა" „ლოკომოტივი" უქულოდ გაისტუმრა

# მოდით, მიმო-ვიხილოთ

## ჟოაო ტორპედო — დინამოს გაიცნობს

**ტურის** მთავარი ჯახი ბოლნისში იყო. „სიონმა" თბილისურ „ლოკომოტივს" ულაპარაკოდ მოუგო, მაგრამ შანსი რკინიგზელებსაც ჰქონდათ — დაწინაურებელ მეტოქეს ანგარიშიც გაუთანაბრეს, მაგრამ ბოლოს მაინც მასპინძლებმა იძალეს — იური გაბისკირიამ რევაზ არველაძის გუნდი გატეხა. „თემურ სტეფანიაზე" გუნდებმა რამდენიმე წუთით ფეხბურთი „დაივიწყეს" და ჩხუბშიც მოსინჯეს ძალები.

სენსაცია კი „ბათუმში" ამოტივტივდა. ზღვისპირელებმა ბრაზილიურად მომართული ქუთაისის „ტორპედო" შეარცხვინეს. „ბათუმმა" 4:0 მოუგო ქვეყნის სამგზის ჩემპიონს. ნამატჩევს ჟოაო კამპუშმა დანანებით თქვა, უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, გოლები კი მეტოქეს გაჰქონდათ. ერთი სიტყვით, ბრაზილიელს ჯერ ფეხბურთელების გასაცნობად და სახელების დასამახსოვრებლად დრო სჭირდება. საქმე ისაა, მოასწრებს თუ არა კამპუში ამის ხვალამდე გაკეთებას. ხვალ ხომ ქუთაისში დიდი მატჩია: „ტორპედო" მარად მოქიშპე „დინამოს" დაუხვდება. ქუთათურები კი ამასობაში კიდევ უფრო დაშორდნენ ექვსეულს, თუმც ბოლომდე დაკარგული ჯერ არაფერია.

„მცხეთამ" კიდევ ერთი ლიდერის წაქცევა ვერ შეძლო. ზურაბ ბერიძის „ვიტ ჯორჯიამ" ამჯერადაც არ დააკლო გოლები „ავტორიტეტთა რისხვას" და პირველი წრის 7:0-ს ახლა 4:1 მიაყოლა.

„თბილისმა" უპრობლემოდ მოუგო ოზურგეთის „მერცხალს". თბილისელებმა ბოლო ტურებში ქულების დაგროვება დაიწყეს და მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს, „მერცხალი" კი სატურნირო ცხრილის ფსკერს ისევ ვერ ასცდა.

ერთი დღით დაკარგული ლიდერობა „სპარტაკის" ძლევით დაიბრუნა თბილისის „დინამომ". ამ მატჩში ყველაზე გამოსარჩევი ორი რამ იყო: ვიტალი დარასელიას დაუვიწყარი გოლი და ყველასთვის მოულოდნელად ტრიბუნაზე ლუის ცაკარიასის გამოჩენა.

მეთორმეტე ტურის ერთადერთი უგოლო მატჩი კი გორში იყო. „დილამ" ვერაფერი მოუხერხა შემადგენლობაშესუსტებულ და პრობლემებმოძალებულ ფოთის „კოლხეთს". ამ ფრით გორელებმა საშინაო რეკორდული სერიის გაგრძელება ვერ შეძლეს — მანამდე ზურაბ ხორგუაშვილის გუნდს შინაურ სარბიელზე ქულაც არ ჰქონდა დაკარგული. „კოლხეთს" კი ქულების გარდა ფეხბურთელებიც ძალიან ეცოტავება. ტრავმირებულების გარდა ფოთურ გუნდში ვალერი გაგუა და დავით გოდერძიშვილი არ გამოჩენილან, რომლებიც ხელმძღვანელობამ დისციპლინის დარღვევისთვის დასაჯა.

**ძახა შალამბერიძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 13 ტური

თბილისი. 22 ოქტომბერი. 16 საათი. შევარდენი

### ვიტ ჯორჯია — დილა

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია; დირექტორი: რ. ლორთქიფანიძე

ფოთი. 22 ოქტომბერი. 16 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — ბათუმი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

თბილისი. 23 ოქტომბერი. 16 საათი. შევარდენი

### თბილისი — სპარტაკი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: გ. ცაავა

ოზურგეთი. 23 ოქტომბერი. 16 საათი. ცენტრალური

### მერცხალი — სიონი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. სორდია; დირექტორი: ვ. კოპალეიშვილი

თბილისი. 23 ოქტომბერი. 16 საათი. ლოკომოტივი

### ლოკომოტივი — მცხეთა

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), მ. ურუშაძე (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე; დირექტორი: შ. ბაქრაძე

ქუთაისი. 23 ოქტომბერი. 16 საათი. ტორპედო

### ტორპედო — დინამო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: გ. ძამუკაშვილი

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 8 - | ახალაია | დინამო |
| 6 - | დავითაშვილი | თბილისი |
| | გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| | გონჩაროვი | სიონი |
| 5 - | მელქაძე | დინამო |
| | ა. ქაიდარაშვილი | დილა |
| | დარასელია | დინამო |
| | კაკალაძე | ბათუმი |
| 4 - | ძოძუაშვილი | დილა |
| | ჩილვინაძე | მცხეთა |
| | გაბედავა | მერცხალი |
| | გაბისკირია | სიონი |
| | მ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 3 - | სულთანიშვილი | დილა |
| | მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| | სირაძე | ლოკომოტივი |
| | ბობოხიძე | დინამო |
| | ხომერიკი | ლოკომოტივი |
| | გაბისკირია | სიონი |
| | მიქაძე | ლოკომოტივი |
| | ჭინჭარაული | მერცხალი |
| | ლ. ქებაძე | მცხეთა |
| | ალექსიძე | დინამო |
| | ახალკაცი | ტორპედო |

### სიმბოლური ნაკრები

ვიტალი დარასელია — დინამო
სანდრო იაშვილი — დინამო
გივი კვარაცხელია — თბილისი
ვლადიმერ გოჩაშვილი — ვიტ ჯორჯია
კოტე მიქუჩაძე — თბილისი
დავით დიღმელაშვილი — ვიტ ჯორჯია
ვალტერ გუჩუა — სიონი
რამაზ სვანაძე — კოლხეთი
ნიკა გუშარაშვილი — ბათუმი
ივანე მახარაძე — ბათუმი
ზურაბ ბათიაშვილი — კოლხეთი

გუნდი: ბათუმი
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე ვიტ ჯორჯია

| № | გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 12 | 8 | 2 | 2 | 29:5 | 24 | 26 | 6 | 4 | 2 | 0 | 19:1 | 18 | 14 | 6 | 4 | 0 | 2 | 10:4 | 6 | 12 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 4 | 1 | 21:6 | 15 | 25 | 6 | 4 | 2 | 0 | 14:2 | 12 | 14 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 11 |
| 3 | დილა | 12 | 7 | 2 | 3 | 16:8 | 8 | 23 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 16 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 0 | 7 |
| 4 | სიონი | 12 | 6 | 5 | 1 | 15:7 | 8 | 23 | 6 | 5 | 1 | 0 | 11:2 | 9 | 16 | 6 | 1 | 4 | 1 | 4:5 | -1 | 7 |
| 5 | მცხეთა | 12 | 5 | 1 | 6 | 15:24 | -9 | 16 | 6 | 4 | 0 | 2 | 11:9 | 2 | 12 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:15 | -11 | 4 |
| 6 | ლოკომოტივი | 11 | 4 | 3 | 4 | 14:14 | 0 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 4 |
| 7 | თბილისი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:15 | -1 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:7 | 0 | 10 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:8 | -1 | 4 |
| 8 | ტორპედო | 12 | 4 | 2 | 6 | 9:14 | -5 | 14 | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 13 | 6 | 0 | 1 | 5 | 0:10 | -10 | 1 |
| 9 | ბათუმი | 12 | 4 | 1 | 7 | 12:14 | -2 | 13 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:5 | 3 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | -5 | 4 |
| 10 | კოლხეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:14 | -5 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 8 | 6 | 1 | 1 | 4 | 2:7 | -5 | 4 |
| 11 | სპარტაკი | 12 | 2 | 3 | 7 | 7:26 | -19 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 3:12 | -9 | 4 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:14 | -10 | 5 |
| 12 | მერცხალი | 12 | 2 | 2 | 8 | 12:26 | -14 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | -2 | 5 | 6 | 1 | 0 | 5 | 7:19 | -12 | 3 |



ვიტელმა ვლადიმერ გოჩაშვილმა (№10) გიორგი ცინაძეს ორივე წრეში გაუტანა

# გილოცავთ, თქვენ ის მოიშორეთ!...

## უმუშევრობის იმედიანი დასასრული



„ინტერის“ ქომაგებს კუპერის გაშვება რონალდომაც მიულოცა

*გახსოვთ რა მოხდა იტალიის ჩემპიონატის წინა ტურში? „სან სიროზე“ მილანურ დერბიში „ინტერმა“ 1:3 წააგო. იმ დღეს ნათელი გახდა, რომ „შავ-ლურჯების“ არგენტინელ მწვრთნელს, ექტორ რაულ კუპერს თანამდებობაზე დიდხანს აღარავინ გააჩერებდა და მართლაც, როგორც კი მიზეზი გამოჩნდა, კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ის სამსახურიდან დაითხოვა.*

**მიზეზს** დიდი ლოდინი არ დასჭირვებია, გასულ უქმეებზე ბრეშაში „ინტერმა“ ვერ მოიგო (2:2), ხოლო ის, რომ 0:2-ს აგებდა და ჩამორჩენა გამოასწორა, კუპერს აღარაფრად ჩაუთვალეს. მორატიმ ახალი მწვრთნელი იმავე დღეს იპოვნა — კუპერის საქმე ბოლოხანს უმუშევარმა ალბერტო ძაკერონიმ დიდი სიხარულით ჩაიბარა.

„პრეზიდენტ მასიმო მორატისთან საერთო ენა ტელეფონითვე გამოვნახე. მაშინვე დავინახე, რომ მისი ამბიციები ჩემსას ეთანხმება. გარდა ამისა, ღრმად მწამს, რომ გუნდში ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელები მეყოლება, ამიტომაც ახალ ექსპერიმენტს დიდი ენთუზიაზმით ვეკიდები“ — განაცხადა მწვრთნელმა, რომლის ხელმძღვანელობით მილანური დერბის მეორე მონაწილემ „მილანმა“ 1998-1999 წლების სეზონში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ზემოთ უმუშევრობა ვახსენეთ. საქმე კი ასეა: ძაკერონის 2001-2002 წლების სეზონის, ანუ „ლაციოს“ შემდეგ არ უმუშავია, თუმცა იმ სეზონის ბოლოს „ინტერს“ ისეთი საქმე გაუკეთა, რომ სიმწრით სულ თითები აკვნეტინა — სეზონის უკანასკნელ ტურში მისმა გუნდმა კუპერისას 4:2 მოუგო და სკუდეტო დააკარგინა, მაშინ როდესაც თავად ის ქულები არაფრად ულირდა.

ეს ისეთი დარტყმა იყო, კუპერს, (იტალიაში მაინც) უფრო მწარე არაფერი გადაუყლაპავს, თუმცა კიდევ ერთი სიმწარე მოხსნილმა არგენტინელმა მომდევნო სეზონის დასაწყისში იგემა — რონალდო „რეალში“ გაექცა.

„ვულოცავ „ინტერის“ ყველა ქომაგს — განაცხადა რონალდომ, როდესაც კუპერის თანამდებობიდან გაშვების ამბავი გაიგო — კუპერის ხელმძღვანელობით ეს კლუბი ვერასდროს ვერაფერს მოიგებდა. დღეს ვაღიარებ, რომ „ინტერი“ მასთან უთანხმოების გამო დავტოვე. მართალია, კონფლიქტი არ გვქონია, მაგრამ ერთმანეთს ვერ ვეწყობოდით, თანაც ვფიქრობდი, რომ მისი ფეხბურთი მეტისმეტად დაცვითი იყო. დიახ, „რეალზე“ ჯერ ლაპარაკიც არ იყო, როდესაც მე მისგან თავის დაღწევა გადავწყვიტე და ამიტომაც გაჯანჯლდა შემდეგ სატრანსფერო მოლაპარაკებები“.

ერთი სიტყვით, კუპერი „ინტერისთვის“ უკვე წარსულია. ვერც ამ სპეციალისტმა აუსრულა მორატის ოცნება — სკუდეტო, რომელიც „შავ-ლურჯებმა“ ბოლოს 1989 წელს მოიპოვეს. რაც შეეხება ძაკერონის, მისი დანიშვნა ისე მოულოდნელად და სწრაფად მოხდა, რომ გაჩნდა ეჭვი, თითქოს იგი მხოლოდ და მხოლოდ სეზონის ბოლომდე დარჩება, ხოლო ხანგრძლივ, საფუძვლიან კონტრაქტს „ინტერი“ უკვე სხვასთან გააფორმებს.



ალბერტო ძაკერონი „ინტერში“ ხმაურით მიდის

„გარწმუნებთ, ვადებზე და დროებით თანამშრომლობაზე არაფერი გვითქვამს. ... „ინტერის“ წარმატებებზე ვლაპარაკობდით“ — განაცხადა ძაკერონიმ.

„ძაკერონის დანიშვნით ფეხბურთელებს ჩათვლით ყველას ვუცხადებ, რომ ტიტულის მოგებაზე ხელი არ ჩამიქნევია. ჩვენ მეტ ქულებს ველარ გავფლანგავთ. ვფიქრობ, საქმის გამოსწორება ჯერ გვიანი არ ... — დასძინა პრეზიდენტმა.

პაპუნა ჭიდი...

# სან პაულუში რუსულს არ ასწავლიან

## კარლოსმა რომანს უარი შეუთვალა



**რომან აბრამოვიჩს** მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებზე ნადირობა ჰობად გადაექცა. გახსოვთ ალბათ, ზაფხულში რუსი მილიარდელი რონალდოს ეპატიჟებოდა ნისლიან ალბიონზე საბურთაოდ, ხოლო 100 მილიონი ევროდ სამეფო კლუბიდან რაულის გადაბირებასაც ეშურებოდა. მართალია, „ჩელსის“ აგენტებმა ხსენებულ კასტილიელ ბუმბერაზთაგან ცავი უარი მიიღეს, მაგრამ ჯიუტმა რომან არკადიევიჩმა მაინც მოახერხა „რეალისთვის“ ფულიანი კლანჭი გაეკრა — ჯერ ესპანელთაგან „მიდლსბროში“ განათხოვრებული ჯერემი შეიძინა (10 მილიონი ევრო), ხოლო შემდეგ ფლორენტინო პერესის წინააღმდეგ აჯანყებული ფრანგი მაკელელეც დაისაკუთრა (24 მილიონი ევრო). ამჟამად კი რუსის მთავარი მიზანი პრიმერას გრანდის ბრაზილიური საოცრება რობერტო კარლოსი გამხდარა. ლონდონური კლუბი მზადაა, კარლოსში 30 მილიონი ევრო გადაიხადოს.

12 ოქტომბერს ბრაზილიის ნაკრებმა ალბიონელთა მიწაზე ამხანაგურ შეხვედრაში იამაიკის ეროვნული გუნდი დაამარცხა. ოკეანისგაღმელებს რობერტო კარლოსიც თან ახლდათ და აბრამოვიჩსაც მასთან საქმიანი გასაუბრების კარგი შანსი მიეცა. როგორც ესპანური LA CADENA SER იუწყება, რუსი მაგნატი რობერტოს 5-წლიან სარფიან გარიგებას სთავაზობს, რომლის მიხედვითაც კარლოსი თითო სეზონში 6 მილიონ ევროს ჩაიჯიბავს.

რობერტო კარლოსისა და აბრამოვიჩის შეხვედრის ამბავს ბრაზილიელის ადვოკატი მარკოს მოტაც ადასტურებს. თუმცა, მისი თქმით, აბრამოვიჩის ახლანდელი „ესპანური თევზაობა“ წარუმატებლად დამთავრდა, რადგან ოკეანისგაღმელი ვარსკვლავი კარიერის გაგრძელებას კვლავაც ესპანურ პრიმერაში აპირებს. რობერტოს „რეალთან“ კონტრაქტით 2005 წლამდე უწევს თანამშრომლობა და სეზონზე მისთვის 3,61 მილიონი ევროა გათვალისწინებული, ანუ იმაზე გაცილებით ნაკლები, რაც ფულადმა რუსმა „სტემფორდ ბრიჯზე“ გადასვლის სანაცვლოდ აღუთქვა. სავსებით მოსალოდნელია, რობერტუ კარლუშ და სილვას ფასი უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად გაიზარდოს, რამეთუ რომან არკადიევიჩი დიდად გულუხვი ხასიათით არის ცნობილი და, ყოველ შემთხვევაში, „ჩელსისთვის“ ახალ მობურთალთა შესაძენად თანხა არ ენანება.

თავად კარლოსი კი ესპანელ ჟურნალისტებს ასე გაეხუმრა: „თქვენ გაინტერესებთ, თუ რაზე ვილაპარაკეთ მე და აბრამოვიჩმა? სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით — რუსული არ მესმის და მისი შემოთავაზებაც ჩემთვის გაუგებარია“. ხუმრობა ხუმრობად და მადრიდულ „ასთან“ შეხვედრისას კარლოსმა უკვე სავსებით სერიოზულად განაცხადა, რომ მიუხედავად რუსის ევროებისა თუ გირვანქებისა, ამ ეტაპზე „რეალის“ დატოვებას არ აპირებს.

ლადო ხომერიკი



დანიელე ბალდინის „ემპოლი“ აღარ ანდეს

# კიდევ ერთი უსაქმური

## ბალდინი კუპერის პარტიაში

**ექვს ტურში** „ემპოლიმ“ ორი გაძვალტყავებული ქულა მოაგროვა. ოთხი სამაღლო გოლი გაიტანა და ყველაზე მეტი (17) გაუშვა. გუნდის პრეზიდენტს დამატებითი მიზეზი მწვრთნელის გასათავისუფლებლად აღარ სჭირდებოდა. თან გასულ უქმეებზე თვით ექტორ რაულ კუპერი მოხსნეს და დანიელე ბალდინის ლოლიაობას ვინ დაუწყებდა?

ამაზრზენი შედეგების გამო „ემპოლის“ პატრონმა მთავარი მწვრთნელი დაიბარა, სერია A-ს ცხრილი ორი თითიდან ფოთოლივით მაგიდაზე დაუშვა და ბალდინის კარისკენ მიუთითა.

პრეზიდენტისგან გამოსულმა დროებით უმუშევარმა წყენით თქვა: „კლუბის გადაწყვეტილებით შოკირებული ვარ. ძალიან მსურდა, გუნდს დავხმარებოდი უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებაში“.

დანიელე ბალდინი „ემპოლის“ ახლა მხოლოდ ტრიბუნებიდან ან კიდევ ტელევიზორთან მჯდომი თუ დაეხმარება. მის ნაცვლად 57 წლის სპეციალისტი ატილიო პეროტი დანიშნეს, რომელსაც 2000-2001 წლების სეზონში „ვერონაში“ უმუშავია.

სერია A-ს ბოლოადგილოსან „ანკონაში“ მწვრთნელის შეცვლა უკვე მოასწრეს. „ანკონა“, „ემპოლი“- ზემოთ თუ ამოვყვებით, „ლეჩე“. გამოდის, რომ მომავალ ტურში „ლეჩეს“ მწვრთნელ დელიო როსის ჯერი დადგება.

ვაჟა ხუციშვილი

# წლის თავზე უეინ რუნის აბრამოვიჩმა 60 მილიონი დაუმიზნა



**გიო ახვლედიანი ლონდონიდან**

*შარშან ამ დროს, ლივერპულის „გუდისონ პარკზე", თამაში იყო და შეხვედრის ბოლო წუთზე, თექვსმეტი წლის ბიჭმა 25 იარდიდან მკვლელი ბურთი დაურტყა ოცდაცხრამეტი წლის მეკარეს.*

*ასე დაიბადა ახალი ვარსკვლავი ინგლისში.*

*ერთ კვირაში ის ბიჭი ჩვიდმეტი წლისა გახდა და რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მას უეინ რუნი ჰქვია.*

*იმ გოლმა, „ევერტონის" მხარბეჭიანმა მონაფემ რომ გაუტანა „არსენალის" სახელოვან მეკარეს და ამით „მეთოფეთა" გუნდის მრავალმატჩიანი დაუმარცხებელი სერია შეწყვიტა, უეინ რუნის სახელი მსოფლიოს გააცნო. მანამდე მას მხოლოდ „ევერტონის" საწვრთნელ მინდვრებზე იცნობდნენ.*

რუნის სახელი ისე გავარდა, როგორც ერთ დროს მაიკლ ოუენისა, რომელმაც 1998 წელს არგენტინის ნაკრებს გაუტანა ბურთი და საერთაშორისო აღიარებაც სწორედ იმ გოლით მოიპოვა.

ამ პარასკევს უეინ რუნი უკვე თვრამეტი წლისა ხდება, გასულ პარასკევს კი ინგლისურ მედიაში გავრცელდა ცნობა, რომ რომან აბრამოვიჩი აგრძელებს „ჩელსში" რუსულ რევოლუციას და იანვრი სატრანსფერო ბაზრობისას რუნიში სამოც მილიონ გირვანქას შესთავაზებს „ევერტონს". ეს იქნება მსოფლიოს უძვირესი ტრანსფერი.

ამ ცნობამ აღაშფოთა „ევერტონის" თავკაცი დევიდ მოიესი, რომელიც ყოველთვის და ყველას გასაგონად აცხადებს, უეინი ჯერ ბავშვია, გონება არ დაჯდომია და გთხოვთ, ამნაირ რამეებს ნუ გააგონებთ, რადგან ეს მის საფეხბურთო მომავალზე გავლენას იქონიებსო.

„ჩელსის" მენეჯერმა კლაუდიო რანიერიმ თქვა, კლუბს დიდი სია ექნება და ამ სიაში ალბათ რუნიც მოხვდება, თუმცა, ჩვენ რომ საგანგებოდ ამაზე ვიმუშაოთ, სპეკულაცია და ფასის აგდების ხერხებიაო. თუმცა, „ჩელსის" პატრონთა სახელით გამოსული განცხადება ადასტურებს, რომ გუნდი თანხით მოზღუდული არ არის და სატრანსფერო სიაში არათუ ყრმა ლივერპულელი, არამედ დევიდ ბექემიც კი არის, რომელშიაც მადრიდს 40 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ.

მოიესი კი მართალია, რუნი მართლაც ყრმა გახლავთ და მას მრჩეველთა გარეშე გაუჭირდება თავისი მომავლის შესახებ ლაპარაკი. თუმცაღა, ამ ერთ წელიწადში ვანდერბოიმ (საოცარ ბიჭს უწოდებენ) უზარმაზარი საკარიერო ნახტომი კი გახერხა.

ის შეიქნა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, პრემიერლიგაში რომ გოლი გაუტანია. ის შეიქნა ინგლისის ისტორიაში ნაკრების სამოსის მომრგები ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი და თურქების წინააღმდეგ პირველ შესარჩევ მატჩში დატრიალებული საოცრებების წყალობით ნაკრების უცვლელ წევრადაც მოასწრო გახდომა.

ანუ ამ თორმეტ თვეში სკოლის მოსწავლე სუპერვარსკვლავად გარდაისახა.

მწვრთნელები აღმერთებენ მას, თანაც არცთუ რიგითი, ან უბრალოდ კარგი მწვრთნელები.

სერ ბობი რობსონი ამბობს: „ის წარმოუდგენელია. მას ისეთი რამეების კეთება შეუძლია, რასაც უდიდესი მოთამაშენიც კი ვერ ახერხებენ ხოლმე საჭირო დროს და საჭირო ადგილას."

„ის არის უდიდესი ნიჭიერების ახალგაზრდა ინგლისელი, იმათ შორის, ვინც კი მინახავს" — ასე მიაჩნია არსენ ვენგერს.

მას აშკარად და პირდაპირ ადარებენ პოლ გესქოინს, რაც ინგლისში იმას ნიშნავს, რომ გენიოსს ადარებენ.

ამ ზორბა, თითქოს ჭარბწონიან თინეიჯერს სოსისეული და შემწვარი კარტოფილი უყვარს და ზედაც ეტყობა, თუმცა კომენტატორები ნახევრად ხუმრობით იმასაც ამბობენ, რომ ამ სიყვარულის მიუხედავად, ბიჭს მიზიდულობის ცენტრი ოდნავ სხვა ადგილას აქვს და ზოგჯერ გგონია, რომ ის, ეს ლონიერი იერის ყმაწვილი მინდვრის თავზე დალივლივებს ხოლმე.

ყველა ხედავს, რომ რუნის განსაკუთრებული გოლების გატანა შეუძლია, წონის მიუხედავად მსუბუქად მოძრაობს მოედანზე და ჭკვიანური პასებიც ეხერხება. რა აკლია და სტაბილურობა, თუმცა რომელ ბავშვს მოსთხოვ სტაბილურობას?

ესეც ყველამ იცის, რომ ყმაწვილი რუნი ძალიან ხშირად იღებს ყვითელ ბარათებს. ამ სეზონში უკვე ხუთი მოუგროვდა, „ტოტენჰემთან" თამაშისას კი მსაჯსაც გაექაჩა, რაც პირველად იყო მის კარიერაში. გამოთვლილია, რომ რუნის ყოველ ორ თამაშში ერთხელ უჩვენებენ ამ ბარათს, თუმცა მოედნიდან ერთხელ გააძევეს და ერთხელ მეტოქის ფანების მხარეს გაფურთხებაც მოასწრო. ესეც იმის ბრალია, რომ რაც კარგად იცის, რუნი ბრწყინვალედ აკეთებს, რისი სწავლაც ჯერ არ დასრულებია, ის საერთოდაც არ გამოსდის. სწავლობს, მოკლედ. ის უბრალო, ხელმოკლე ოჯახში გაზრდილი არცთუ ფრიადოსანი, მაგრამ პატიოსანი ბიჭია და „ევერტონის" მენეჯერი მოიესი ჟურნალისტებსაც კი არიდებს ხოლმე, რადგან ამ პატარამ ჯერ კარგად არ იცის, სად როგორ უნდა მოიქცეს.

ამასობაში კი რუნი საკმაოდ მდიდარი ახალგაზრდა კაცია. ის კვირაში ცამეტი ათას გირვანქას იღებს, რაზეც მისი მშობლები, ერთ უბრალო სახელმწიფო სახლში, გარეუბან კროქსტეთში რომ გაზარდეს ვაჟი, ვერც კი იოცნებებდნენ.

ამ პარასკევს, თვრამეტი რომ შეუსრულდება, უეინს ძალიან გაეზრდება ხელფასი. ხსენებული ცამეტი ათასი, იმ ხელფასის მხოლოდ ერთი არცთუ დიდი ნაწილი იქნება.

რუნი დაინიშნა კიდეც, თავის მთლად ბავშვობისდროინდელ შეყვარებულ კოლინ მაკლაფლინზე და ახლა იმდენი კი შეუძლია, რომ საქორწინო ფანოლებად განთქმული ჯგუფები, ატომიკ კიტენი და ბლუ იქირავოს.

ეს ყველაფერი ძალიან შორია კროქსტეთიდან, სადაც არის კედელი, რომელსაც უეინი ბურთს უხათქუნებდა მას შემდეგ, რაც სიარული ისწავლა.

რას მოიმოქმედებს რომან აბრამოვიჩის შტაბი?

როგორი იქნება უეინ რუნი ერთი წლის შემდეგ?

ის კი ვიცით, რომ გაის ამ დროს ის მხოლოდ ცხრამეტის შესრულდება.



უეინ რუნიმ ქალიც დანიშნა

# ში-ნაიტედის ამბები
## არ გეკადრებათ ბილწსიტყვაობა, სერ!



სერ ალექს ფერგიუსონს იურაი რენიეს გინება არ შერჩა

„მანჩესტერ იუნაიტედს" ეს კვირა ორმაგი უკმაყოფილებით დაეწყო. პირველი: მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით და 10 ათასი გირვანქით დააჯარიმეს. მეორე: რიო ფერდინანდი სასჯელს ვერ გადარჩება, მისი დანაშაული კი, როგორც მოგეხსენებათ, 23 სექტემბერს დოპინგ-ტესტის გაცდენაა. თავად ამბობდა დამავიწყდა, თორემ არ დავმალულვარო, მაგრამ ორშაბათამდე მიცემულ ვადაში ვერ ჩაეტია და თავის, არგუმენტები ფეხბურთის ასოციაციაში ვერ წარადგინა. ადრეც გვითქვამს, რომ ფერდინანდი შესაძლოა ორწლიანი დისკვალიფიკაციითაც კი დასაჯონ, თუმცა სავალდებულო მაინცდამაინც ამ ვადის მისჯაც არ არის.

ახლა არგუმენტებზე, რომლებიც ფერდინანდს ასოციაციაში უნდა მიეტანა. ხსენებული არგუმენტები იმ დღის საუბრებია მობილურ ტელეფონზე, მეტი არაფერი. ამ გზით გაირკვეოდა, ვის დაუკავშირდა ფერდინანდი, როდესაც გაიგო, რომ დოპინგ-ტესტზე იბარებენ, მაგრამ ასოციაციის განცხადებით, ფეხბურთელმა ეს საუბრები ვერ წარადგინა, თუმცა უნდა ითქვას, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ადვოკატი, მორის უოტკინსი საპირისპიროს ამბობს — ყველაფერი დროულად მივიტანეთო.

სერ ალექს ფერგიუსონზე კი რა შეიძლება ითქვას?.. მის საქმეს, ანუ მსაჯის იურაი რენიეს ლანძღვის ისტორიას სადაც ჯერ არს, ოთხსაათნახევარი ისმენდნენ და ზევით რომ მოგახსენეთ, ის დასკვნა გააკეთეს — ორი თამაში და ათი ათასი. გარჩევის შემდეგ მწვრთნელმა იქაურობა უკომენტაროდ დასტოვა, ადვოკატმა უოტკინსმა კი ბრძანა:

„იგო ცოტათი განაწყენდა, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ საკითხის განხილვისას წარმოქმნილმა აზრთა სხვადასხვაობამ იმედი ჩაგვისახა, რომ ამას შეიძლება გაგრძელება მოჰყვეს. ჩვენ შეგვიძლია სასჯელს დავყაბულდეთ, მაგრამ შეიძლება გავაპროტესტოთ. ერთი სიტყვით, ჯერ დავფიქრდებით და მერე გადავწყვეტთ. ყველაფერს რამდენიმე დღეში შეგატყობინებთ".

ზუსტად დადგენილია, რომ სერ ალექსმა მსაჯ რენიეს უშვერი სიტყვებით აგინა.

**პაპუნა ძიდია**


REUTERS-ბლიცინფორმი

ენდი კოული 250 გოლიან ზღვარს ვერ გადაახტა

# რა დაგიშავეთ, ქალბატონო?
## კერყიშლიმ თავი დაიზღვია

### ინგლისი

**პრემიერლიგა. IX ტური**

**ბლექბერნი 0:1 ჩარლტონი**

0:1 პრეიდარსონი (33)

**ბლექბერნი:** ფრიდელი, რიდი, ტოდი, მარტინ ტეილორი, გრეშკო (დ. ბაჯო 78), ემერტონი (გალაჰერი 81), ფლიტკროფტი (იანსენი 46), თუგაი, ბ. ფერგიუსონი, დ. ტომპსონი, ენდი კოული
**მწვრთნელი:** გრემ სუნესი
**ჩარლტონი:** კიელი, იანგი (კიშიშევი 18), პერი, ფიში, პრეიდარსონი, გ. სტიუარტი, პარკერი, ჰოლანდი, კ. იენსენი, დი კანიო (ჯ. ფორჩუნი 87), ჯ. იოჰანსონი (იუელი 69)
**მწვრთნელი:** ალან კერბიშლი
**გაფრთხილება:** ემერტონი, ტომპსონი, კოული
**მსაჯი:** ბარბერი
**19 939 მაყურებელი**

ვერ არის კარგი ამბავი: „ბლექბერნ როვერსმა“ ზედიზედ მეოთხე საშინაო თამაში წააგო. პრემიერლიგის სამი ჩემპიონიდან ერთ-ერთმა ამ ჯერზე „ჩარლტონ ატლეტიკისგან“ იწვნია მარცხი.

თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე „ვუდ პარკი“ ასეთი ეპიზოდის მომსწრე გახდა: პაოლო დი კანიომ კუთხური ჩააწოდა, იქ სადაც ბურთი დაეშვა, მასპინძელი გარი ფლიკტროფი და სტუმარი ჰერმან ჰრეიდარსონი იდგნენ. ჩარლტონელი უფრო მაღლა ახტა და ბურთს თავი დაჰკრა. ბურთი ჯერ მეკარე ბრედ ფრიდელს გასცდა, მერე კი კარის ხაზზე მდგომ მცველ დევიდ ტომპსონს ფეხებს შორის გაუძვრა. ეს გოლი ამ მატჩში ერთადერთი გამოდგა.

ეს მოგება კი „ჩარლტონისთვის“ ზედიზედ მესამე იყო, გუნდი ცხრილში ერთბაშად სამი საფეხურით ალზევდა და მეშვიდე ადგილზე მოკალათდა.

„ნუ დაგავიწყდებათ, რომ რამდენიმე ფეხბურთელი დაშავებული გვყავს და ამის გათვალისწინებით, დღევანდელი გამარჯვება უფრო მეტად ფასობს“ — უთხრა „სქაი სპორტს“ ნამატჩევს ჩარლტონელთა მენეჯერმა ალან კერბიშლიმ. მან საგანგებოდ გუნდური სულისკვეთება და პაოლო დი კანიოს ჩინებული თამაშიც აღნიშნა. მაგრამ ასეთი განწყობის მიუხედავად კერბიშლიმ მაინც თავის დაზღვევა ამჯობინა და დასძინა, ცხრილში გვარიანად მაღლა კი ვართ, მაგრამ ჩვენს გულშემატკივრებს ვერანაირ გარანტიას ვერ მივცემო. სწორი ნათქვამია, „ჩარლტონი“ ხომ მომდევნო ტურში „არსენალს“ ხვდება.

„ჩარლტონი“ კი შევაქეთ, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ მასპინძლებს ურიგოდ არ უთამაშიათ, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში. ენდი კოულს ბარე სამი საგოლე მომენტი ჰქონდა, რომელთაგან ერთიც რომ გამოეყენებინა, ყველა სახის შეჯიბრში 250-გოლიან ზღვარს დალაშქრავდა. „ბლექბერნის“ უიღბლობის მიზეზი კი სტუმართა მეკარე დინ კილი გახლდათ, ვინაც შეუდარებელი იყო.

„თავადაც ნახეთ, მოსაგებად თავი არ დაგვიზოგავს, მაგრამ კვლავ ძველი ისტორია განმეორდა — დაიჩივლა დამარცხებულთა მენეჯერმა გრემ სუნესმა — ქალბატონი იღბალი აშკარად არ გვწყალობს, პირდაპირ აღარ ვიცი, რა უნდა ვილონო.“

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 9 | 7 | 2 | 0 | 18:7 | 23 |
| მანჩესტერი | 9 | 7 | 1 | 1 | 17:3 | 22 |
| ჩელსი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:9 | 20 |
| ბირმინგემი | 9 | 4 | 4 | 1 | 8:5 | 16 |
| სიტი | 9 | 4 | 3 | 2 | 20:11 | 15 |
| ფულემი | 8 | 4 | 3 | 1 | 15:9 | 15 |
| ჩარლტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:12 | 14 |
| საუთჰემპტონი | 9 | 3 | 4 | 2 | 8:5 | 13 |
| პორტსმუთი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:9 | 12 |
| ლივერპული | 9 | 3 | 2 | 4 | 12:10 | 11 |
| ტოტენჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:13 | 11 |
| ნიუკასლი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:10 | 9 |
| ევერტონი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:14 | 9 |
| ასტონ ვილა | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | 9 |
| ბლექბერნი | 9 | 2 | 2 | 5 | 15:17 | 8 |
| ლიდსი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:18 | 8 |
| ბოლტონი | 9 | 1 | 5 | 3 | 8:18 | 8 |
| მიდლსბრო | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | 7 |
| ვულვზი | 9 | 1 | 3 | 5 | 3:18 | 6 |
| ლესტერი | 9 | 1 | 2 | 6 | 11:17 | 5 |

### გერმანია

**II ბუნდესლიგა. IX ტური**

**უნტერჰახინგი 1:1 ნიურნბერგი**

0:1 მინტალი (73), 1:1 ომოდიაგბე (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არმინია | 9 | 6 | 1 | 2 | 16:9 | 19 |
| კოტბუსი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:12 | 17 |
| ალემანია | 9 | 5 | 2 | 2 | 20:19 | 17 |
| მაინცი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:11 | 15 |
| უნტერჰახინგი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:13 | 15 |
| დუისბურგი | 9 | 3 | 4 | 2 | 12:11 | 13 |
| ფიურტი | 9 | 3 | 3 | 3 | 18:15 | 12 |
| ლიუბეკი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:14 | 12 |
| ობერჰაუზენი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:12 | 12 |
| ტრირი | 9 | 3 | 3 | 3 | 16:17 | 12 |
| ბურგჰაუზენი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:11 | 11 |
| აუე | 9 | 3 | 2 | 4 | 10:10 | 11 |
| კარლსრუე | 9 | 3 | 2 | 4 | 12:14 | 11 |
| ნიურნბერგი | 9 | 2 | 4 | 3 | 15:15 | 10 |
| რეგენსბურგი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:15 | 10 |
| ალენი | 9 | 3 | 0 | 6 | 9:15 | 9 |
| ოსნაბრიუკი | 9 | 1 | 4 | 4 | 9:16 | 7 |
| უნიონი | 9 | 1 | 3 | 5 | 10:12 | 6 |

### პორტუგალია

**სუპერლიგა. VIII ტური**

**სპორტინგი 3:1 ბეირა მარი**

1:0 ლეიდსონი (9), 1:1 სანდრუ სილვა (26), 2:1 ჟოაუ პინტუ (45), 3:1 ლეიდსონი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 8 | 7 | 1 | 0 | 22:6 | 22 |
| მარიტიმუ | 8 | 5 | 2 | 1 | 9:5 | 17 |
| ბოავიშტა | 8 | 4 | 4 | 0 | 10:3 | 16 |
| სპორტინგი | 8 | 5 | 0 | 3 | 14:11 | 15 |
| ბენფიკა | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 14 |
| ბრაგა | 8 | 4 | 2 | 2 | 9:8 | 14 |
| ალვერკა | 8 | 4 | 1 | 3 | 10:5 | 13 |
| ბეირა მარი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:8 | 13 |
| ნასიონალი | 8 | 4 | 0 | 4 | 11:8 | 12 |
| ჟილ ვისენტე | 8 | 3 | 1 | 4 | 12:8 | 10 |
| ბელენენსეში | 7 | 2 | 3 | 2 | 11:13 | 9 |
| მორეირენსე | 8 | 3 | 0 | 5 | 6:13 | 9 |
| ლეირია | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | 8 |
| აკადემიკა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:9 | 7 |
| რიუ ავე | 8 | 1 | 3 | 4 | 6:9 | 6 |
| გიმარაეში | 8 | 2 | 0 | 6 | 8:13 | 6 |
| ამადორა | 7 | 1 | 1 | 5 | 4:18 | 4 |
| ფერეირა | 8 | 1 | 0 | 7 | 3:17 | 3 |

### საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი XII ტური**

**ამიენი 1:1 სედანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

# საქართველოს პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“

II ეტაპი, X ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 24.10.03

შტამპის ადგილი

II ეტაპი, X ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 24.10.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

მისამართი----------------------

საკონტაქტო ტელეფონი ----------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 26.10 | ინტერი - რომა | | 23.30 | 26.10 | ინტერი - რომა | |
| 18.00 | 26.10 | პარმა - მოდენა | | 18.00 | 26.10 | პარმა - მოდენა | |
| 18.00 | 26.10 | პერუჯა - უდინეზე | | 18.00 | 26.10 | პერუჯა - უდინეზე | |
| 20.30 | 26.10 | ბოჰუმი - დორტმუნდი | | 20.30 | 26.10 | ბოჰუმი - დორტმუნდი | |
| 15.30 | 26.10 | პსვ - აიაქსი | | 15.30 | 26.10 | პსვ - აიაქსი | |
| 23.30 | 26.10 | დეპორტივო - ვალენსია | | 23.30 | 26.10 | დეპორტივო - ვალენსია | |
| 19.00 | 26.10 | სოსიედადი - ოსასუნა | | 19.00 | 26.10 | სოსიედადი - ოსასუნა | |
| 19.00 | 26.10 | მალაგა - სარაგოსა | | 19.00 | 26.10 | მალაგა - სარაგოსა | |

II ეტაპი, X ტური | II ეტაპი, X ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 26.10 | ინტერი - რომა | | 23.30 | 26.10 | ინტერი - რომა | |
| 18.00 | 26.10 | პარმა - მოდენა | | 18.00 | 26.10 | პარმა - მოდენა | |
| 18.00 | 26.10 | პერუჯა - უდინეზე | | 18.00 | 26.10 | პერუჯა - უდინეზე | |
| 20.30 | 26.10 | ბოჰუმი - დორტმუნდი | | 20.30 | 26.10 | ბოჰუმი - დორტმუნდი | |
| 15.30 | 26.10 | პსვ - აიაქსი | | 15.30 | 26.10 | პსვ - აიაქსი | |
| 23.30 | 26.10 | დეპორტივო - ვალენსია | | 23.30 | 26.10 | დეპორტივო - ვალენსია | |
| 19.00 | 26.10 | სოსიედადი - ოსასუნა | | 19.00 | 26.10 | სოსიედადი - ოსასუნა | |
| 19.00 | 26.10 | მალაგა - სარაგოსა | | 19.00 | 26.10 | მალაგა - სარაგოსა | |

II ეტაპი, X ტური | II ეტაპი, X ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 26.10 | ინტერი - რომა | | 23.30 | 26.10 | ინტერი - რომა | |
| 18.00 | 26.10 | პარმა - მოდენა | | 18.00 | 26.10 | პარმა - მოდენა | |
| 18.00 | 26.10 | პერუჯა - უდინეზე | | 18.00 | 26.10 | პერუჯა - უდინეზე | |
| 20.30 | 26.10 | ბოჰუმი - დორტმუნდი | | 20.30 | 26.10 | ბოჰუმი - დორტმუნდი | |
| 15.30 | 26.10 | პსვ - აიაქსი | | 15.30 | 26.10 | პსვ - აიაქსი | |
| 23.30 | 26.10 | დეპორტივო - ვალენსია | | 23.30 | 26.10 | დეპორტივო - ვალენსია | |
| 19.00 | 26.10 | სოსიედადი - ოსასუნა | | 19.00 | 26.10 | სოსიედადი - ოსასუნა | |
| 19.00 | 26.10 | მალაგა - სარაგოსა | | 19.00 | 26.10 | მალაგა - სარაგოსა | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 25 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 25 ოქტომბერს)

**საკონკურსო ბიულეტენებში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მონაწილეებს ვთხოვთ ჯერ შეავსონ ჩასაბარებელი B ნაწილი**

## კვირის კალენდარი

20 ოქტომბერი - გაზეთი „ახალი ვერსია“, მეორე ეტაპის მე-11 ტური,
ინგლისის თასი მესამე რაუნდი (28-29 ოქტომბერი, Carling Cup), სამ ვარიანტად.
21 ოქტომბერი - ჟურნალი „ულტრა“, მეორე ეტაპის მე-12 ტური,
(29 ოქტომბერი, ესპანეთის ჩემპიონატი), სამ ვარიანტად.
23 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი“, მეორე ეტაპის მე-9 ტური,
(25 ოქტომბერი, ევროპის ქვეყნების სჩ),
სამ ვარიანტად. მეორე ეტაპის მე-5 და მე-6 ტურის წინასწარი შედეგები,
მდგომარეობა 6 ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები).
24 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი“, მეორე ეტაპის მე-10 ტური,
(26 ოქტომბერი, ევროპის ქვეყნების სჩ), ორ ვარიანტად.
25 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი“, მეორე ეტაპის მე-7 და მე-8 ტურის წინასწარი შედეგები,
მდგომარეობა 8 ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები), კონკურსის დებულება, მომდევნო კვირის კალენდარი.

## მდგომარეობა ექვსი ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები)

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე | 206(34-50-31-34-21-36) |
| 2 | თორდია ვალერიან ვალერიანის ძე | 197(31-47-31-31-26-31) |
| 3 | სირაძე ტარიელ ვაჟას ძე | 195(42-41-26-32-18-36) |
| 4-6 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე | 190(34-41-25-29-25-36) |
| 4-6 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 190(23-35-36-34-31-31) |
| 4-6 | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 190(42-39-26-29-13-41) |
| 7 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე | 189(31-41-26-26-26-39) |
| 8-9 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 188(31-33-31-23-28-42) |
| 8-9 | ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე | 188(36-33-31-23-23-42) |
| 10 | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 187(31-38-28-31-23-36) |
| 11 | არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე | 185(28-44-31-34-23-25) |
| 12-13 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 183(36-33-31-26-31-26) |
| 12-13 | სულაშვილი ვაჟა თედოს ძე | 183(31-33-34-31-18-36) |
| 14-16 | კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე | 178(26-36-28-28-26-34) |
| 14-16 | კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე | 178(29-39-39-21-15-35) |
| 14-16 | მელინკაური ლევან ვალერიანის ძე | 178(31-41-39-13-26-28) |
| 17-18 | ჟღენტი გიორგი დიმიტრის ძე | 177(34-38-36-21-15-33) |
| 17-18 | ჭანტურია სოსო კობას ძე | 177(25-38-31-31-26-26) |
| 19 | ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე | 176(36-31-26-26-26-28) |
| 20 | ფაცია გიორგი მურმანის ძე | 175(39-38-34-18-18-28) |
| 21 | ორმოცაძე ზაზა ვლადიმერის ძე | 173(26-36-31-29-23-28) |
| 22 | წიკლაური მაია ინგურის ას | 172(18-44-31-28-26-25) |
| 23 | სალუქვაძე ზაზა რეზოს ძე | 171(25-36-28-26-23-33) |
| 24-25 | იოსელიანი ლევან ვახტანგის ძე | 170(23-28-31-18-34-36) |
| 24-25 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 170(28-23-28-26-26-39) |

## პირველ ეტაპზე გაიმარჯვეს

1 ადგილი — ვეშაპიძე გია შოთას ძე 284 ქ.
2 ადგილი — კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე 274 ქ.
3 ადგილი — ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე 267 ქ.

გამარჯვებულები გამოცხადდნენ გაზეთის რედაქციაში პარასკევს, 24 ოქტომბერს, 17 საათზე. მისამართი: აგლაძის ქ. 39ა

## II ეტაპის V ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | ბუთხუზი ვასილ ვასილის ძე | 36 |
| 2 | იოსელიანი ლევან ვახტანგის ძე | 34 |
| 3 | გულუა კახაბერ არველოდის ძე | 33 |
| 4-5 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 31 |
| 4-5 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 31 |
| 6 | ოსიაშვილი ამირან ილიას ძე | 29 |
| 7-14 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 28 |
| 7-14 | თევდორაძე ვარლამ გივის ძე | 28 |
| 7-14 | მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე | 28 |
| 7-14 | მირიანაშვილი მიხეილ გიორგის ძე | 28 |
| 7-14 | ფირცხალაიშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე | 28 |
| 7-14 | ფხაკაძე ზურაბ გურგენის ძე | 28 |
| 7-14 | ჩანქსელიანი დავით ბორისის ძე | 28 |
| 7-14 | წერეთელი დიმიტრი მურადის ძე | 28 |
| 15-26 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე | 26 |
| 15-26 | ბაციკაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე | 26 |
| 15-26 | თორდია ვალერიან ვალერიანის ძე | 26 |
| 15-26 | კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე | 26 |
| 15-26 | ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე | 26 |
| 15-26 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე | 26 |
| 15-26 | მელინკაური ლევან ვალერიანის ძე | 26 |
| 15-26 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 26 |
| 15-26 | სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე | 26 |
| 15-26 | წიკლაური მაია ინგურის ას | 26 |
| 15-26 | ჭანტურია სოსო კობას ძე | 26 |
| 15-26 | ჯორბენაძე სერგი სანდროს ძე | 26 |

## II ეტაპის VI ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1-2 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 42 |
| 1-2 | ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე | 42 |
| 3-4 | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 41 |
| 3-4 | ნინიაშვილი ვაჟა ანდროს ძე | 41 |
| 5-9 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე | 39 |
| 5-9 | მარდალეიშვილი გიორგი თეიმურაზის ძე | 39 |
| 5-9 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 39 |
| 5-9 | ქევხიშვილი ბიძინა ალექსანდრეს ძე | 39 |
| 5-9 | ცომაია რევაზ პეტრეს ძე | 39 |
| 10-11 | თევდორაძე ვარლამ გივის ძე | 38 |
| 10-11 | ოსიაშვილი ამირან ილიას ძე | 38 |
| 12-21 | ავლოხაშვილი ავთანდილ ანტონის ძე | 36 |
| 12-21 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე | 36 |
| 12-21 | იოსელიანი ლევან ვახტანგის | 36 |
| 12-21 | კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე | 36 |
| 12-21 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე | 36 |
| 12-21 | ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე | 36 |
| 12-21 | სირაძე ტარიელ ვაჟას ძე | 36 |
| 12-21 | სულაშვილი ვაჟა თედოს ძე | 36 |
| 12-21 | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 36 |
| 12-21 | ციცვიძე იური ვლადიმერის ძე | 36 |
| 22 | კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე | 35 |
| 23-25 | კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე | 34 |
| 23-25 | ნაცვლიშვილი ზაქრო გიორგის ძე | 34 |
| 23-25 | წიქარიძე იური ქიონის ძე | 34 |

**შედეგების გაპროტესტება შეიძლება 28 ოქტომბრამდე 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში, აგლაძის 39ა, მე-3 სართული (გარდა პარასკევისა და კვირისა)**

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

*1. ტოტალიზატორ „ტაიმში“, კოსტავას ქ.№37.*
*2. მეტრო „ვაგზლის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8*
*3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“*
*4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური №18 ატელიეს წინ*
*5. მეტრო „ვარკეთილი“ „ფორტე 2“*
*6. მეტრო „სამგორი“ „ფორტე 9“*
*7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მაღაზია „თბილისი“*
*8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“*
*9. მეტრო „ღრმაღელე“ „პლანეტის“ ჯიხური №20*
*10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური №17*
*11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური №16*
*12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური №15*
*13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)*
*14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)*
*15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)*
*16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადახაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)*
*ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში*

# ზაზა ფაჩულიას დებიუტი დაუწუნეს და ძალა მოუწონეს



*საკალათბურთო ლეგიონში გასული კვირის მთავარი ამბავი ზაზა ფაჩულიას ნბა-ური დებიუტი იყო. მართალია, რეგულარული ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, თუმც ამერიკელები საგამოფენო მატჩებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ფაჩულიას „იუტასთან" ნათამაშევიც დებიუტად მოუნათლეს.*

**დღევანდელობის** ვარსკვლავთა უმრავლესობა ნბაში ბრწყინვალე დებიუტით ვერ დაიკვეხნის და თუ ფაჩულიას ამობრწყინება ელირსა, ამ მხრივ მასაც არაფერი ექნება სატრაბახო. „იუტასთან" მატჩში ქართველი ცენტრი ჩაფლავდა. ფაჩულიას მხოლოდ 6 წუთი მოუწია მოედანზე ყოფნა და მეტოქესთან კინკლაობის გამო დისკვალიფიცირებულმა თამაში უქულოდ დატოვა. ჩვენებურის დებიუტს კრიტიკულად გამოეხმაურა ფლორიდული პრესა, სადაც დაიწერა, რომ ფაჩულიასთვის ამ მატჩში ყველაფერი უცხო იყო გარდა ერთისა — ფიზიკური ძალისა.

უხეირო დებიუტის მიუხედავად, „ორლანდოში" ფაჩულიასი მაინც ეიმედებათ. ფლორიდული კლუბის ერთ-ერთ მოკალმე ჯონ ვეისბროდს თურმე იმიტომ მოსწონს ზაზა, რომ იგი ჰოკეისტივით ჯანიანი და მებრძოლია. ზაზამ თავისი ძალა მომდევნო საგამოფენო მატჩში დაამტკიცა, როცა „მემფისთან" ნათამაშევ 16 წუთში ორლანდოელთაგან უმეტესი 6 მოხსნა მოაგროვა და 6 ქულაც მიითვალა, თუმც 4-დან ყველა საჯარიმო გააცუდა და საკუთარ მონაგარს მთლად ლამაზი იერი ვერ მისცა.

ევროპაში კი კვლავ ყოჩაღობს ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელმაც საფრანგეთის პროფლიგის მეოთხე ტურშიც გაამარჯვებინა „დიჟონს". ვატომ „შალონთან" შეხვედრაში ორმაგი დუბლი შეასრულა და მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დასახელდა ჯამური სტატისტიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით.

გამარჯვების მიუხედავად, დიჟონელები ცხრილში მეორე ადგილზე ჩამოქვეითდნენ, რაკი გიორგი მდივნის „პო ორტეზმა" აუტსაიდერი „ბურგი" დაიბრიყვა და ბურთების შეფარდების ხარჯზე გალიდერდა. მდივანს კვლავ არ უთამაშია. ჩვენებური სათადარიგო სკამზეც არ გამოჩენილა.

იტალიაში ისევ წაიბორძიკა მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონმა". ჩემპიონები ამჯერად მომძლავრებულ „ვარეზესთან" დამარცხდნენ და სამი ტურის შემდეგ ცხრილში შეუფერებელი მე-9 ადგილი უკავიათ. ქართველი უკანახაზელი კარგად გაირჯა. ეტორე მესინამ იგი ოდენ 9 წუთი ათამაშა, თუმცა მანუჩარმა მაინც მოასწრო თავის გამოჩენა და 7 ქულა მოიხვეჭა.

ჩაფლავდა წინა მატჩებში ნაყოჩაღევი ვლადიმერ ბოისა, ვისმა „ოლიმპიამაც" ადრიატიკის ლიგის მეოთხე ტურში ლიუბლიანაში ხორვატიული „ზადარი" დაამარცხა. ვოვას იმ დღეს თავიდანვე არ გაუმართლა და 12 წუთში მოედანი ისე დატოვა, თამაშიდან ერთხელაც არ უსვრია, ოთხი საჯარიმო სროლიდან კი სამი ჩააგდო.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | თ | წ/ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ბენეტონი | ვარეზე | ს | 66:76 | 9 | 7 | - | 3 | 16,6/7,3 | 9 |
| **საფრანგეთი. PRO A** | | | | | | | | | | |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | შალონი | შ | 82:68 | 29 | 13 | 10 | 4 | 24/11,5 | 2 |
| გიორგი მდივანი | პო ორტეზი | ბურგი | შ | 112:66 | განაცხადში არ იყო | | | 1 | 3/2 | 1 |
| **ადრიატიკის ლიგა** | | | | | | | | | | |
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ზადარი | შ | 95:86 | 12 | 3 | 1 | 4 | 24,7/9,75 | 8 |
| **NBA. საგამოფენო მატჩები** | | | | | | | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენვერი | ტორონტო | ს | 81:86 | ტრავმირებულია | | | 2 | 21/6 | - |
| | | დეტროიტი | ს | 91:93 | ტრავმირებულია | | | 2 | 21/6 | - |
| ზაზა ფაჩულია | ორლანდო | იუტა | ს | 90:86 | 6 | - | 3 | 1 | 6/10 | - |
| | | მემფისი | ს | 65:84 | 16 | 6 | 6 | 2 | 11/3 | - |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; თ — თამაშების რაოდენობა;
წ/ქ — ნათამაშები წუთები და მოგროვილი ქულები საშუალოდ; ა — გუნდის ადგილი ცხრილში; ს — სტუმრად; შ — შინ

# დალასმა მოტყუება ისწავლა

**გუშინწინ** ნბა-ში ხმაურიანი ტრანსფერი გაიჩარხა: ისედაც უმძლავრესი თავდასხმის მყოლმა „დალას მავერიკსმა" ქულების მწარმოებელი კიდევ ერთი „მანქანა", ანტუან უოლკერი შეიმატა და მის სანაცვლოდ „ბოსტონს" რიფ ლაფრენცი დაუთმო.

გარიგებაში ხუთი კალათბურთელი მონაწილეობდა, თუმც ნახსენებ ღლავებთან ტონი დელკი, ირჟი ველში და კრის მაილზი ლიფსიტებად მოსჩანან და პირველივე აბზაცში მათ უხსენებლობა დანაშაულად არ ჩაგვეთვლება. ასე რომ: „დალასმა" ანტუან უოლკერისა და ტონი დელკის სანაცვლოდ „ბოსტონს" ჩეხი ირჟი ველში, 27 წლის კრის მაილზი, ძირითადი ცენტრი რიფ ლაფრენცი და მომავალი დრაფტის პირველ წრეში არჩევნის უფლება დაუთმო.

წინ მთელი სეზონია და ვინ როგორ ათამაშდება, ძნელი სათქმელია, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან ცხადლივ სჩანს, რომ ამ გარიგებით დალასელებმა უფრო იხეირეს, რომლებმაც ისეთი კალათბურთელი შეიძინეს, ვისგანაც ნებისმიერ მატჩში უნდა ელოდე სამმაგ დუბლს.

ბოსტონელები შეელივნენ მოთამაშეს, რომელიც პოლ პირსთან ერთად ბოლო სეზონში „სელტიქის" ნაგროვები ქულების ბარე ნახევარს იხვეჭდა. „დალასმა" თავის „დიდ სამეულს" (ნოვიცკი, ნეში, ფინლი) ახლახან არანაკლებ „დიდი კაცი" შემატა გოლდენსტეიტელი ანტუან ჯემისონის სახით და ახლა კიდევ უფრო მრისხანე უოლკერიც დაიბევა. ჯემისონის ტრანსფერიც რიგიანი გარიგება იყო ტეხასელთათვის, რაკი „გოლდენ სტეიტს" უთუმცაო ლიდერის სანაცვლოდ თავიანთი აცაბაცა გამთამაშებელი ნიკ ვან ექსელი მიაჩეჩეს.

„ბოსტონთან" გარიგებაში „დალასის" უპირატესობად ჩაითვლება ისიც, რომ საკუთარ საკონტრაქტო ღირებულებასთან (შვიდ წელიწადში 69 მილიონი) შეუფერებელ ლაფრენცში, ტრავმებით გატანჯულ ვეტერან კრის მაილზში და ჯერაც ამოუცნობი მომავლის მქონე ჩეხ მსროლელ ირჟი ველში ტეხასელებმა ლიგის ერთ-ერთი მრისხანე ფორვარდი, სამი „ოლ სტარის" მომლევი ანტუან უოლკერი დაითრია, ჩაროზად კი ტონი დელკიც მიიღო.

„ბოსტონში" კი ამ გარიგების სათავისო პლუსებად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ირჟი ველში ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელია, ხოლო ლაფრენცის კაიცენტრობის ამბავი მთელს ნბა-შია გავარდნილი. რაც შეეხება კრის მაილზს, მას ამ სეზონის ბოლოს ის მსუყე კონტრაქტი უმთავრდება, რომელიც თავის დროზე „დალასმა" გაუფორმა და ბოსტონელებიც სახელფასო ფონდში რამდენიმე მილიონის გამოთავისუფლებას ელიან...

**ირაკლი პერტაია**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო სალუქვაძე

# ნუ ესვრით მომავალს!

*ტყვიის სროლაში ოლიმპიური ლიცენზიების გათამაშება სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით ადრე მთავრდება. ათენის საგზურის გარეშე დარჩენილ მსროლელებს ბოლო იმედად ორიოდ კვირაში შვედეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატიღა რჩებათ. ულიცენზიოთა შორისაა ნინო უჩაძეც, რომელმაც წინა ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება ნინო სალუქვაძის მიერ მოგებული ორი ლიცენზიით მიიღო. მას შემდეგ წესები შეიცვალა და უჩაძეს ახლა თავად უწევს საგზურისთვის ბრძოლა*

**სკანდინავიაში** საქართველოს სახელით ქუთაისელი გია სვანიძეც გაისვრის, რომლის ევროპაში გამგზავრების ხარჯებიც პირადმა სპონსორმა გაიღო. სალუქვაძე-უჩაძეს კი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დააფინანსებს.

ნინო სალუქვაძე გუშინ დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ამ ტურნირისა და მოახლოებული ჩემპიონატის შესახებ მისივე ნაამბობიდან უკეთ შეიტყობთ:

„გერმანიაში მარტო გავემგზავრე და პატარა ქალაქ ბასუმში ათდღიანი შეკრებაც გავიარე. ამ პერიოდში ჩატარდა ვისბადენის ტურნირიც, რომელზეც ტყვიის სროლაში წამყვანი ქვეყნების გამოცდილმა სპორტსმენებმა მრავლად მოიყარეს თავი. მონაწილეობის მსურველთა რიცხვი იმხელა იყო, ორგანიზატორებმა ყველას დაკმაყოფილება ვერ შეძლეს. ფინალში მეექვსე შედეგით გავედი. იქ კი გაცილებით უკეთ ვისროლე და ჯამში მეორე ადგილი დავიკავე. რა თქმა უნდა, სასურველი იყო, გერმანიაში მარტო მე არ გავმგზავრებულიყავი, მაგრამ სპორტის დეპარტამენტის მიერ ჩვენი ფედერაციისთვის გამოყოფილი წლიური ლიმიტი საგიოტებორგო დაფინანსებით ამოიწურა.

უდიდესი სურვილი გვაქვს, შვედეთში სერგი ჩიტაიშვილიც წავიყვანოთ. იგი 18 წლისაა და ძალიან პერსპექტიულ სპორტსმენადაც ითვლება, მაგრამ ახლა მისთვის მთავარი პრაქტიკის მიღებაა. საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გარეშე კი ნიჭი ნელ-ნელა დაიკარგება. ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატზე გვპირდებოდნენ მის გაშვებას. თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროს დავით ჭელიძის დაპირებით, ფინანსური მხარეც მოგვარებული იყო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ბოლო მომენტში მისგან უარი მივიღეთ. დახმარებისთვის ამის შემდეგაც არაერთგზის მივმართეთ, თუმცა ამაოდ.

რაც შეეხება ნინო უჩაძეს, მისთვის გიოტებორგული ტურნირი ბოლო შანსია და იმედია, სასურველ შედეგს მიაღწევს. ამისთვის სავარაუდოდ მეოცედან ოცდამეხუთე ადგილამდე მოხვედრაც ეყოფა, თუმც არც ეს იქნება იოლი საქმე. მის მსგავსად ულიცენზიოდ ბევრი კარგი მსროლელია დარჩენილი."

ქართველი მსროლელები შვედეთს 3 ნოემბერს გაემგზავრებიან, ჩემპიონატი კი 5-7 ნოემბერს გაიმართება. მიზეზთა გამო მათი ერთად შეკრება და ვარჯიში ვერ ხერხდება. უჩაძე და სვანიძე მშობლიურ ქუთაისში ემზადებიან. სალუქვაძე კი ამ დღეებში კვლავაც არმიის სპორტული კლუბის დარბაზს მიაშურებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## RUGBY WORLD CUP 2003

21 ოქტომბერი. კანბერა

**იტალია 19:14 კანადა**

**იტალია:** კანალე, მირკო ბერგამასკო (მასი, მაზარიოლი), სტოიკა, მ. დალანი, დ. დალანი, ვაკარუა, ტრონკონი (კაპ) (მაზანტინი), მარისე, პერსიკო (პალმერი, ფესტუჩია), დეროსი, მაურო ბერგამასკო (ჩეჩინატო), დელაპე, კასტროჯოვანი, ონგარო, ლო ჩიჩერო

1ლ: პარისე; 1გ: ვაკარუა; 4ს: ვაკარუა

**კანადა:** ფიფი, სტენლი, კენონი, დი ჯიროლამო, ლოგშედი, ბარკერი, უილიამსი; ბანქსი (ჯეკსონი), დუგლასი, კადმორი, ჩარონი (კაპ), იაკსი, თიელი, ლოუსონი, სნოუ (ტკაჩუკი)

1ლ: ფიფი; 3ს: ბარკერი

# კაცური ბრინჯაო
## იშვიათი შემთხვევა: ქართველმა ვაჟებმა ქართველ ქალებს აჯობეს


ზურაბ აზმაიფარაშვილი

**ქართველმა** ვაჟებმა პლოვდივში ევროპის გუნდური ჩემპიონატის ბოლო ტურში პოლონელებთან დაძაბული ბრძოლის შემდეგ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. პირველი ადგილი 17 ქულით რუსეთმა დაიკავა. მეცხრე ტურში მან ძმადნაფიც ბელარუსთან მეგობრულად გაიყო ქულები (2:2) და მდევართათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ასევე ყაიმით ითამაშეს ვერცხლის პრიზიორმა ისრაელმა და მესამე ადგილის ვერდამკარგავმა სლოვენიამ.

ბოლო ტურის წინ ებრაელები ორი ქულით ჩამორჩებოდნენ რუსებს, ჩემპიონობის ძალიან მცირე შანსი გააჩნდათ და ამიტომაც ბოლოს თავი აღარ შეიწუხეს. ბრინჯაოს მოპოვება შეეძლო სლოვენიას, რომელიც თითქმის უბრძოლველად დაშორდა მეტოქეს. სლოვენიელებმა, ქართველების მსგავსად, 13 ქულა მოაგროვეს, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლების დაჯამებისას ჩამორჩნენ ჩვენებს და მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ.

ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსს ქართველთა ბოლო მეტოქე პოლონეთიც ინარჩუნებდა. სლავებს ნაკრებში უძლიერესი შემადგენლობისთვის მოეყარათ თავი და დათმობს არ აპირებდნენ.

პირველ დაფას ევროპის ჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილი და ექსჩემპიონი ბართოლომეო მაჩეია მიუჯდნენ. ქართველი შავი ფიგურებით თამაშობდა და პირველი იერიში პოლონელმა განახორციელა, ძ5-უჯრაზე პაიკი წასწია და უკნიდან კარგადაც გაამაგრა. ამ უჯრასთან ნამდვილი ბრძოლები გაჩაღდა, რამაც შეიწირა ორივე ლაზიერი, რამდენიმე მსუბუქ ფიგურასთან ერთად. შემდეგ ქართველმა უფრო იყოჩაღა და ორივე ეტლი მიუშვა თეთრ მეფეზე. პოლონელმაც ეტლებს მიანდო თავდაცვა და თამაშსაც ინტერესი დაეკარგა. შავ-თეთრი ეტლები ერთმანეთს დასდევდნენ და ამაოდ ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას. ეს უშედეგო დაჭერობანა 38-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა.

მესამე დაფაზე დიდი ბრძოლა დასჭირდა გიორგი ყაჭეიშვილს თეთრებით მოთამაშე რობერტ კემპინსკის დასამარცხებლად. მეტოქეებმა საწყის სვლებში მხოლოდ ერთიორი ფიგურა გაცვალეს და დაფაზე ძალების მობილიზება დაიწყეს. აშკარად იგრძნობოდა, რომ ორივეს რაღაც დიდი და საზარელი ჰქონდათ ჩაფიქრებული და ეს პირველი შეტევიდანვე გამოჩნდებოდა.

იერიში პოლონელმა დაიწყო, ლაზიერით შევარდა ქართველის ბანაკში და არეულობის შეტანას შეეცადა. თეთრი დედოფლის გამო დიდი სისხლისღვრა ატყდა და დაფა თანდათან დაცარიელდა ფიგურებისგან. ქართველმა უფრო იძალა შეხლა-შემოხლაში და საკუთარი ეტლით მივარდა თეთრი ხელმწიფეს, თან ოფიცერი დაიხმარა და გასაქანი მოუსპო. პოლონელმა ამდენ დევნას ველარ გაუძლო და ხელები ასწია.

მეოთხე დაფაზე მერაბ გაგუნაშვილს 58 სვლა დასჭირდა ბარტოშ სოცკოს დასამარცხებლად. მთელი თამაშის განმავლობაში ქართველი ფლობდა უპირატესობას და ფიგურების გაცვლას არ ერიდებოდა. ხოცვა-ჟლეტის დასასრულს ქართველს მეფე, ოფიცერი და ორი პაიკი შერჩა, მეტოქეს — მხოლოდ მეფე და მხედარი. პოლონელმაც — რა გასაკვირია და — პარტიის გაგრძელება აღარ ისურვა.

თავისი პარტია აქტიურად დაიწყო ბაადურ ჯობავამ მიხეილ კრასენკოვთან, დებიუტში უპირატესობაც მოიპოვა, თუმცა შემდეგ შეცდა და 47-ე სვლაზე გამარჯვება პოლონელს დაუტოვა.

რაც შეეხებათ ქალებს, აქ პირველობა ჩვენ სამხრეთელ მეზობლებს სომხები დარჩათ, მეორე ადგილი უნგრელებს, ხოლო მესამეზე რუსები გავიდნენ. ქართველები მხოლოდ მე-12 ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ბოლო ტურში ჩვენები კვლავ ინარჩუნებდნენ რომელიმე საპრიზო ადგილის მოპოვების შანსს, თუმცა უნგრელებთან პირწმინდად დამარცხდნენ და საერთოდ ათეულს მიღმა დარჩნენ.

ნინო ხურციძემ ელენე დემბოსთან პარტია თავიდანვე იერიშებით დაიწყო, მაგრამ... 37-ე სვლაზე პოლონელმა ქართველის ტერიტორიაზე თავისი დროშა ააფრიალა.

მეორე დაფაზე მაია ლომინეიშვილმა ანიტა გარას სიცილიური დაცვა დაუპირისპირა. თამაში ორმხრივ იერიშებში წარიმართა, სადაც უფრო უნგრელმა იაქტიურა და 41-ე სვლაზე იმარჯვა კიდეც.



# არნიმ გარის ქიში გამოუცხადა
## მოაზროვნე მანქანა ცხოვრებაშიც აზროვნებს



**ჭადრაკს** კუნთები არ სჭირდება, თუმც არც ხელს უშლის. თურმე მოკრივეები ლუისი და კლიჩკო ამ გონივრული სპორტის დიდი ქომაგები ყოფილან, ხოლო გუბერნატორ-მსახიობი არნოლდ შვარცნეგერი დიდი მოთამაშე.

„მე ვთამაშობ ჭადრაკს, რადგან თუ ვკითხულობ, მეძინება ხოლმე — განაცხადა შვარცნეგერმა — გონება მუდამ ალესილი რომ მქონდეს, ამისათვის ჭადრაკს ვიყენებ. ყოველი თამაში აღაგზნებს ჩემი ტვინის უჯრედებს და კვებავს გონებას."

ფილმებში დამქანცველი გადაღებებისა და სროლის შემდეგ, შესვენებების ჟამს, არნი თავს ჭადრაკის თამაშით ირთობს. ამას იგი საკუთარ ტრაილერში ახერხებს. აი, ტრაილერის მოწყობილობაც: დიდი სონის ტელევიზორი, აბაზანა, სამზარეულო, ვეებერთელა კედელი ოჯახის სურათებისთვის და საყვარელი ჭადრაკის მაგიდა.

მისი ერთ-ერთი მეგობარი ყვება: „ტრაილერში მის საჭადრაკო მაგიდას ორი სკამი უდგას, ერთს აწერია — „გამარჯვებული", ხოლო მეორეს „დამარცხებული" და ვაი, იმ სტუმრის ბრალი, ვინც ამ უკანასკნელზე არ დაჯდება."
ხანდახან არნი საჭადრაკო თავშეყრის ადგილებსაც სტუმრობს და როგორც თვითმხილველები ამბობენ, წაგებას ვერ ეგუებაო.

შვარცნეგერი დიდადაა მონდომებული, რომ ეს ინტელექტუალური სპორტი მისმა ოთხივე მემკვიდრემ აითვისოს. მამა-შვილებს ერთი მწვრთნელი ავარჯიშებს და ყველაზე მეტად თავისი ნაბოლარა ვაჟის, კრისტოფის, ეიმედება „ჯერ პატარაა და უკვე მიგებს. იგი ბუნებით ჩემპიონია" — ამაყობს მამა.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს საჭადრაკო ლეგენდა გარი კასპაროვი არნის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია და კიბერნეტიკულ ორგანიზმთან პარტიებსაც თამაშობს. მავანნი ხუმრობენ კიდეც, კასპაროვი მანქანებთან თამაშს ძალიან შეეჩვიაო.

სურათზე გამოსახული არნი და გარი გასული წლის მარტში შეხვდნენ ერთმანეთს. მეგობრებმა პარტიები ითამაშეს, რომელთა შედეგიც ჩვენთვის უცნობია, თუმც ცნობილია, რომ წასასვლელად გამზადებულმა შვარცნეგერმა დაიქადნა: „მე დავბრუნდები".

**ლუშა გეგეჭკორი**



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# მონრეალი მიხვდა
## მთავარი ფორმა კი არა შინაარსია

20 ოქტომბერი

**მონრეალი 2:1 დეტროიტი**

*0:0 2:1 0:0*

**1:0 ბეგინი (22), 2:0 ზედნიკი (27), 2:1 დანდენო (29)**

ცრუმორწმუნეებს სალაპარაკო მიეცათ — აი, რას ნიშნავს ლეგენდარულ მაისურებში გამოწყობაო. „მონრეალი" მძლავრ „დეტროიტს" 1945-46 წლების ფორმებით დაუხვდა. რას წარმოადგენდა ამ წლებში „მონრეალი", შეხსენება არ გჭირდებათ. მთავარია, რომ ამ დიადი გუნდის მემკვიდრეებმა ფორმასთან ერთად ის ძველი სულისკვეთება და თავდაჯერება დაიბრუნეს და მრისხანე მეტოქეს ორი ქულა აართვეს.

მონრეალელები კი ფიქრობენ, რომ მთავარი ფორმა კი არა შინაარსია. წლეულს მათ უღალატეს ჩვეულ, ლაღ კომბინაციურ და გახსნილ ჰოკეის და აქცენტი დაცვაზე გადაიტანეს.

ტრადიციები ტრადიციებად რჩება, მაგრამ თანამედროვე ჰოკეიში სწორედ დაცვას მოაქვს შედეგი. ამიტომაც, „მონრეალს" ვერ გავამტყუნებთ. „თუ ასე გავაგრძელეთ, ჩვენთან ბრძოლა ბევრს გაუჭირდება" — ამაყად განაცხადა მეკარე მეტიუ გარინმა. რა იქნება შემდეგ, არ ვიცით, მაგრამ „დეტროიტს" რომ გაუჭირდა, ფაქტია. მატჩის პირველ ნახევარში გარინი პრაქტიკულად უსაქმოდ იდგა. „წითელფრთიანები" მხოლოდ მაშინ აფაფხურდნენ, მასპინძლებმა ორი გოლი რომ გაუტანეს, თუმც მერე ოღენ ერთი გაქვითეს. მეტიუ დანდენომ ეს უმცირესობაში ყოფნისას მოახერხა, თუმც ეს მონრეალელთა პირველი და უკანასკნელი შეცდომა გამოდგა.

ირკვევა დეტროიტელი კერტის ჯოზეფის ბედიც. სულ უსაქმოდ ჯდომას მას ფარმკლუბში თამაში ერჩივნა და სანამ ნჰლ-ის რომელიმე გუნდი მის შეძენას ისურვებს, აჰლ-ს „გრენდ რაპიდში" გადაბარგდა.

**რეინჯერსი 3:1 ფლორიდა**

*1:0 1:0 1:1*

**1:0 ლინდროსი (2), 2:0 პოტი (40), 2:1 ჰაგმანი (41), 3:1 ნედვედი (60)**

„რეინჯერსის" პირველი გამარჯვება შემთხვევითმა გოლებმა და მეკარე მაიკ დანემის ოსტატობამ განაპირობა. არც ერიკ ლინდროსის დარტყმა იყო აუღებელი და არც ტომ პოტისა, მაგრამ ფლორიდელთა მეკარე რობერტო ლუონგომ ორივე გაუშვა. ყოველთვის ხომ ვერ იხსნის გუნდს ეს დაუზარელად მშრომელი ადამიანი.

**აილენდერსი 5:2 ტორონტო**

*2:1 3:0 0:1*

**1:0 ჩერკავსკი (6), 2:0 ბლეიკი (16), 2:1 რობერტსი (17), 3:1 ჩერკავსკი (22), 4:1 კვაშა (23), 5:1 პეკა (35), 5:2 სტეიჯენი (53)**

სულ ერთი თვის წინ ჩერკავსკი არავის სჭირდებოდა. პოლონელი ფორვარდი ეგრეთ წოდებულ „უეივერ დრაფტზე" წარადგინეს, მაგრამ მისი მსურველი გუნდი რომ არ გამოჩნდა, ისევ „აილენდერსში" დარჩა... როგორ ფიქრობთ, ნანობს ახლა გუნდი ამას? „ტორონტოსთვის" გატანილი ორი გოლის შემდეგ მით უმეტეს არა.

**ვანკუვერი 6:1 ბუფალო**

*3:0 3:0 0:1*

**1:0 დ. სედინი (5), 2:0 ლინდენი (13), 3:0 ჟოვანოვსკი (18), 4:0 სალო (25), 5:0 კინგი (31), 6:0 მორისონი (33), 6:1 შატანი (47)**

მოულოდნელი აღმოჩენაა, თურმე „ვანკუვერს" მარკუს ნესლუნდისა და ტოდ ბერტუცის გარდა სხვა მეგოლეებიც ჰყოლია. „ბუფალოსთან" დამაჯერებლად მოგებულ თამაშში მხოლოდ კინკილა პასია ლიდერების ანგარიშზე, თავი სხვებმა გამოიდეს.



# ენენის გზა

## მეცამეტე პირველის პირველი კვირა

*ჟუსტინ ენენ-არდენი რომ მეცამეტე ქალმჩოგნე გახდა, ვინაც ქალთა რეიტინგსიის სათავეში მოქცევა შეძლო, ამაზე გუშინვე ვიუწყებოდით. დღეს კი გვსურს, ამ ჭინკა ბელგოგოს 21-წლიან ცხოვრების მოკლე, თუმც ტევადი ფაქტფაილი წარმოვიდგინოთ.*

ჟუსტინი 1982 წლის პირველი ივნისს, ბელგიურ ლიეჟში დაიბადა.

1996: მალიორკაში პირველად ითამაშა ქალთა ტურნირში, რომელიც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) ეგიდით იმართებოდა და მეორე წრეს მიაღწია.

1997: მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგსიაში შეყვანილი ჯერ არ იყო, ორ სააიტიეფო ტურნირზე იმარჯვა.

1998: წელი ზედიზედ ათი მატჩისა და ორი სააიტიეფო ტიტულის მოგებით დაიწყო. სეზონის მსვლელობისას კიდევ ერთი ტიტულიც მოიხვეჭა და წელი რეიტინგსიის 226-ე საფეხურზე გაასრულა.

1999: პროფესიონალი გახდა და ანტვერპენში, თავის პირველსავე სადაბლეიტიო ტურნირზე იპირველა. ბელგიის ნაკრებს ფედთასის ნახევარფინალში მოსახვედრად დაეხმარა.

2000: მთელი სეზონის განმავლობაში ფეხის ტრავმები აწუხებდა. აშშ-ის ღია პირველობაზე მეოთხე წრეს მიაღწია და გზად რეიტინგსიის იმჟამინდელ მეთორმეტეადგილოსან ანა კურნიკოვას სძლია. სეზონის დამლევს უკვე რანგით 48-ე იყო.

2001: რაგინდარა სლემნახევარფინალს როლანგაროსობაზე უწია, სადაც თვისტომ კიმ კლაისტერსთან დათმო. გახდა პირველი ბელგიელი მეჩოგნე, ვინაც უიმბლდონის ერთეულთა ფინალში გავიდა (იქ მას ვინუს უილიამსმა აჯობა). წლის განმავლობაში სამი ტიტული მიითვალა და სეზონი უკვე რეიტინგსიის მეშვიდეადგილოსნად მოამთავრა.

2002: იმარჯვა ბერლინობაზე. შემდეგ ავად გახდა და როლანგაროსობას პირველსავე წრეში გამოეთიშა. უიმბლდონზე ნახევარფინალს უწია, მაგრამ იქ კვლავ ვინუსისგან დაიჩოგნა. წლის მეორე ტიტული ლინცში მოიგო და წლის უკანასკნელი რეიტინგსია რომ გამოქვეყნდა, უკვე მეოთხე საფეხურზე იდგა.

2003: ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში კვლავ ვინუსთან დამარცხდა. გერმანიის ღია პირველობაზე ტიტულის ფინალში კლაისტერსთან გამარჯვებით დაიცვა. კლაისტერსვე სძლია მოგვიანებით როლანგაროსობის ფინალშიც და გახდა პირველი სლემტიტულოსანი ბელგიელი მეჩოგნე. მეორე სლემტიტული მან აშშ-ის ღია პირველობაზე მოირეწა, რომლის გადამწყვეტ შეხლაშიც ისევ და ისევ კლაისტერს მოუგო. წინა კვირაში ციურიხულ ჭერქვეშა მაგარსაფარზე გაჩემპიონების შემდეგ მან კიმს უკვე რეიტინგსიის პირველობაც ჩამოართვა. ამ მომენტისთვის ჟუსტინის საწლევანდლო მონაგარი უკვე რვა ტიტულსა და თითქმის 3,3 მილიონ დოლარს შეადგენს, რაიც ორსავე სქესში წლის აბსოლუტური რეკორდია.

სხვაფრივ, მოგაგონებთ, რომ ქალთა ამქრის სათავეში ყველა დიდხანს, 377 კვირის მანძილზე გერმანელმა შტეფი გრაფმა დაჰყო. მას მარტინა ნავრატილოვა (აშშ, 331), კრის ევერტი (აშშ, 262), მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 209), მონიკა სელეში (აშშ, 178), სერენა უილიამსი (აშშ, 5), ლინდსი დევენპორტი (აშშ, 37), ტრეისი ოსტინი (აშშ, 22), ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 17), არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 12), ვინუს უილიამსი (აშშ, 11), კიმ კლაისტერსი (10).



WRC

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. XII ეტაპი. კორსიკა

# სოლბერგი საჩემპიონოდ აცეკვდა

## 5000 $ და შამპანური ღამისტეხვისთვის

**მერალეთა** 25-ე ჩემპიონატის ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე, საფრანგეთში უხეირო გამოსვლით შარშანდელმა ტრიუმფატორებმა მარკუს გრონჰოლმმა და ტიმო რაუტიაინენმა პრაქტიკულად დაკარგეს ტიტულის შენარჩუნების იმედი. მართალია, მისხალი საპირველადგილო შანსი კიდევ შერჩათ, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე დარჩენილ რბოლას მოიგებენ, ლიდერთა სამეული კი საფუძვლიანად ჩაფლავდება, რაც არარეალური ვარიანტია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 41 წლის „მატადორ" საინსის (თანამძღოლი მარკ მარტი) უახლოეს მდევრებზე სამქულიანი წინდგომა სულაც არ ნიშნავს, რომ 17-წლიან კარიერაში მესამე საჩემპიონო გვირგვინი ჯაბეში ედოს. ახალგაზრდა კონკურენტები ისე მიჰყვებიან კუდში, ერთ ფეხის დაცდენასაც არ აპატიებენ. გამორჩეულად აქტიურობს 29 წლის სოლბერგი — „ჰოლივუდ" ნორვეგიელს (შტურმანი ფილ მილსი) წლეულს მესამე დიდი პრიზის მოგებით ექვსსეზონიან კარიერაში პირველად გაუჩნდა რეალური საჩემპიონო შანსი.

კუნძულოვან კორსიკის მთავარქალაქ აიაჩოს მთიან შემოგარენში ეკიპაჟებს 396-კილომეტრიანი ჩქაროსნული დისტანცია უნდა დაეძლიათ. სერპანტინებიანი, ჩახვეული ფრანგული ეტაპი „ათი ათას მოსახვევიანი" რალის სახელითაა ცნობილი. ისედაც რთული სარბოლო პირობები კიდევ უფრო დაამძიმა მეორე დღის თავსხმამ, ამდენად გადამწყვეტი გახდა საბურავების ზუსტად შერჩევა.

თავიდან საინსის „სიტროენი" დაწინაურდა, მაგრამ მეორე სპეცუბანზე ესტონელმა მარკო მარტინმა (მაიკლ პარკი) ჩამოართვა ლიდერობა, თუმც მცირე ხნით, რადგან მეოთხე ჩქაროსნულ მონაკვეთზე მოსახვევში დიდი სიჩქარით შესულმა „ფორდი" კლდეს მიახეთქა და სანახევროდ ცხვირმომტვრეული მანქანით კი გააგრძელა ბრძოლა, მაგრამ მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითებულმა. ეს კიდევ არაფერი, მეორე დღეს შეკეთებული მანქანით ლომივით იბრძოლა და მეორე ადგილამდეც აინაცვლა, მაგრამ მორიგი შეცდომის შედეგად ბორბალი გაეჭედა, რის გამოცვლაზეც ოთხი წუთი დაიკარგა და საბოლოოდ გადაეწურა საპოდიუმო შანსიც კი.

მერე სებასტიენ ლოების (დანიელ ელენა) და ფრანსუა დიუვალის (სტეფან პრევო) ჯერი დადგა, მაგრამ ბოლომდე ვერც მათ გაძლეს. ლოებს ნაწვიმარზე საჭე გაექცა და „სიტროენი" გზისპირა პატარა ხრამში გადაუცურდა. იქვე მყოფმა მაყურებლებმა მანქანა ტრასაზე კი გადმოაგორეს, მაგრამ ეკიპაჟმა ათი წუთი დაკარგა და მათთვისაც ყველაფერი დასრულდა.

დიუვალს ავარია არ მოსვლია, მაგრამ პირველ მოგებას მაინც ვერ ეღირსა. სოლბერგმა „პირელის" უნაკლო საბურავებისა და ცხადია, საკუთარი ოსტატობის ხარჯზე ბელგიელთან ჯერ თითქმის ნახევარწუთიანი ჩამორჩენა გააბათილა, დღის ბოლოს კი თავად დაწინაურდა 18 წამით. რბოლის ბედიც მაშინ გადაწყდა.

დიუვალმა მეორე პოზიციაც ვერ შეინარჩუნა: დასკვნით, მე-16 ჩქაროსნულ უბანზე „მეფე კარლოსთან" 16 წამი წააგო და ფინიშზე მხოლოდ მესამე აღმოჩნდა.

სოლბერგი გამარჯვებამ ბავშვივით გაახარა, თავისი სამიოდე წლის შვილი ოლივერი ხელში აიტაცა და ლამის აცეკვდა კიდეც: „ეს ჩემი ყველაზე საშინელი რალი იყო, მაგრამ დღეს, რა თქმა უნდა, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. ჩვენი მექანიკოსები ნამდვილი გმირები და მსოფლიოში საუკეთესოები არიან. მათ იმაზე უკეთ გამიწყვეს მანქანა, ვიდრე თავიდან იყო."

ნორვეგიელს კორსიკაში პირველად გამარჯვების ორმაგი სიხარულის საბაბი ჰქონდა. საქმე შემდეგშია: ხუთშაბათს, რბოლის წინა დღეს, სოლბერგმა „სუბარუ" ისე დალეწა, დილამდე მისი შეკეთებისა ალარავის სჯეროდა. გუნდის ხელმძღვანელობამაც პეტერს ტომი მაკინენის მანქანაზე გადაჯდომა შესთავაზა. ალბათ ასეც მოხდებოდა, მექანიკოსებს რომ არ ეყოჩაღათ — თორმეტკაციანმა ბრიგადამ მთელი ღამე იმუშავა და გამთენიისას პატრონს განახლებული „სუბარუ" ჩააბარა. ამ „გმირობისთვის" მათ ეტაპის დირექტორატისგან საჩუქრად 5000 დოლარი და ორი ყუთი შამპანური მიიღეს.

თუმც სოლბერგის პრობლემები ამით არ ამოწურულა, პირველივე დღეს სიჩქარეთა კოლოფიც შესაცვლელი შეექნა, შედეგად მერვე ადგილზე გადავარდა და მაინც, ამდენი დავიდარაბის შემდეგ შეძლო პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე შედგომა.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 4სთ; 20.153 |
| 2 | კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) | ჩამორჩა 36,6 |
| 3 | ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) | 41,7 |
| 4 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 1.09,2 |
| 5 | კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, სიტროენი) | 1.26,6 |
| 6 | ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) | 1.58,7 |
| 7 | ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) | 2.25,8 |
| 8 | რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) | 2.36,7 |

### საერთო ჩათვლა

1. კარლოს საინსი 61 ქულა; 2. პეტერ სოლბერგი 58; 3. რიჩარდ ბარნსი 58; 4. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) 55; 5. მარკუს გრონჰოლმი 43; 6. მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) 43; 7. კოლინ მაკრეი 40; 8. ტომი მაკინენი 23; 9. ფრანსუა დიუვალი 21; 10. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) 18

### კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 137 ქულა, პეჟო 129, სუბარუ 88, ფორდი 78, შკოდა 21, ჰიუნდაი 12







პეტერ სოლბერგმა თავისი „სუბარუ" საშინლად დაჭეჭყა, მაგრამ მექანიკოსებმა, რაღაც ჯადოქრობით მეორე დილით ახალი მანქანა ჩააბარეს მომავალ გამარჯვებულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უფეხებოდ, მაგრამ — ჯიბრით

36 წლის განთქმულმა მრბოლმა ალექს ძანარდიმ გასულ კვირას პირველად იბრძოლა მას შემდეგ, რაც რომ ორი წლისწინანდელი საკარტო ავტოკატასტროფისას ორივე ფეხი დაკარგა. ჯადოპროტეზებზე შემდგარმა გულადმა კაცმა ევროპის „ტურინგ კარის" პირველობის მონცურ ეტაპზე საგანგებოდ მისთვის შექმნილი BMW 320i-ით იჭენავა. მართალია, ფინიშთან ის მხოლოდ მეშვიდე იყო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს — მთავარი ისაა, რომ ალექსს კვლავაც შეუძლია იმის კეთება, რაც ყველაფერს ურჩევნია, ჩვენ კი კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ თუ გული გულობს...



REUTERS მონცადან



REUTERS რიო დე ჟანეიროდან



# პლაჟობა და ნაშობა

ეს ბრაზილიელი ნაშა თვისტომ პლაჟბურთელებს ქომაგობს. საქმე რიოდეჟანეიროულ კოპაკაბანაზე ხდება — მასპინძელ მამრთა ნაკრები მეოთხედფინალში შვეიცარიელ მეტოქეებს ამარცხებს.

# რენო მოსკოვში



მოსკოვს სწვევია „რენოს" საფორმულაერთო გუნდი, რომელმაც სკვითებს სპორტის ეს სახეობა ახლოს და ცოცხლად უნდა წარუდგინოს. მრბოლებმა — ფერნანდო ალონსომა (ქვევით) და იარნო ტრულიმ თავიანთი ბედაურები მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ გააჯირითეს.



REUTERS მოსკოვიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge